

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი



## მირანდა ჯაჭვაძე

„სისხლში D ვიტამინის შემცველობა და მისი გავლენა სასუნთქი სისტემის დაავადებების განვითარების სიხშირესა და სიმძიმეზე საქართველოში მცხოვრებ ბავშვებში რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამ პრობლემის ცნობადობა საქართველოს პოპულაციაში“

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მედიცინის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
2023

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

**ქეთევან გოგბერაშვილი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

**ექსპერტები:**

1) ნინო ქიქოძე, მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2) ეკატერინე უბერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის თერაპიის სამსახურის უფროსი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

3) გიორგი ჩახუნაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი.

დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის №1 დეპარტამენტის და საქართველოს პედიატრთა საზოგადოების გაერთიანებულ სხდომაზე 2022 წლის 03 ნოემბერს (ოქმი #3).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 23 მაისს, 16 სთ-ზე თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის I სართულის სადისერტაციო დარბაზში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #33).

**Tbilisi State Medical University**

**Miranda Jachvadze**

Vitamin D Plasma Concentration and It's Effect on Development and Severity of Respiratory System Diseases in Georgian Pediatric Population under Regional Characteristics. Awareness About This Problem Among Georgian Population.

Thesis of Dissertation for the  
Academic Degree of PhD in Medicine

Tbilisi  
2023

The study was carried out in Tbilisi State Medical University

Scientific Supervisor:

Associate Professor: Ketevan Gogberashvili, MD, PhD

Experts:

- 1) Nino Kikodze, Academic Doctor of Medicine, Associate Professor of Tbilisi State Medical University.
- 2) Ekaterine Uberi, Head of Therapy Department of G. Zhvania Pediatrics Academic Clinic of Tbilisi State Medical University, Academic Doctor of Medicine, Associate Professor of Tbilisi State Medical University.
- 3) Giorgi Chakhunashvili, Doctor of Medical Sciences, professor, academician of the Academies of Field Sciences of Georgia.

The Scientific materials are presented on the joint meeting of the Department of Pediatrics of TSMU, Pediatric Department of G. Zhvania Pediatric Academic Clinic and Georgian Pediatric Society on 03.11.2022.

The Scientific Study is available at the Tbilisi State Medical University Library (29, Vazha Pshavela ave.).

Maintain the Dissertation will take place in TSMU administrative campus (33, Vazha-Pshavela ave.).

# შინაარსი

<b>თავი 1. შესავალი</b> .....	<b>7</b>
თემის აქტუალობა (საკითხის თანამედროვე მდგომარეობა) .....	7
პროგრამის მიზანი.....	10
შრომის ამოცანები.....	11
კვლევის აქტუალობა .....	11
კვლევის მეცნიერული სიახლე.....	12
სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება .....	13
პუბლიკაციები .....	13
<b>თავი 2. თანამედროვე შეხედულებები D ვიტამინის გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (ლიტერატურის მიმოხილვა) .....</b>	<b>15</b>
2.1. D ვიტამინის დახასიათება, ფიზიოლოგია, ბიოლოგიური მოქმედება და ფუნქციები .....	16
2.2. ვიტამინის განსხვავებული ფუნქციები, იმუნური სისტემა.....	18
2.3. D ვიტამინის სტატუსი .....	21
2.4. D ვიტამინის დეფიციტი, მიზეზები, გავრცელება და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე .....	24
2.5. D3 ვიტამინის დეფიციტი და ინფექციური დაავადებები.....	27
2.6. პნევმონია, მისი გავრცელება, სიმძიმის კრიტერიუმები .....	31
2.7. ციტოკონების ზოგადი დახასიათება .....	33
2.8. ციტოკონები, როგორც პნევმონიის სიმძიმის ბიომარკერები .....	35
2.9. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული კორონავირუსული დაავადება (COVID 19) და ვიტამინი D.....	36
<b>თავი 3. მასალა და კვლევის მეთოდები, სტატისტიკური ანალიზი</b> .....	<b>38</b>
<b>თავი 4. კვლევის შედეგები</b> .....	<b>42</b>
4.1. სისხლში D ვიტამინის შემცველობის გავლენა რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირეზე.....	42
4.2. სისხლში D ვიტამინის დონის გავლენა საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიის სიმძიმეზე ბავშვებში.....	46
4.3. სისხლში D ვიტამინის დონის გავლენა ციტოკინურ პროფილზე პნევმონიის დროს.....	52
4.4. მოსახლეობის ცნობადობის ხარისხი D ვიტამინის დეფიციტის მნიშვნელობის შესახებ.....	58

თავი 5. კვლევის შედეგების ანალიზი .....	59
თავი 6. დასკვნები და რეკომენდაციები.....	69
გამოყენებული ლიტერატურა.....	71
დანართი 1. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....	91
დანართი 2. პუბლიკაციები.....	95
დანართი 3. კვლევის კითხვარი .....	134

# თავი 1. შესავალი

## თემის აქტუალობა

### (საკითხის თანამედროვე მდგომარეობა)

ბოლო პერიოდში მედიცინაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, D ვიტამინის დეფიციტი გლობალურ პრობლემად რჩება. ჩატარებული კვლევების მიხედვით ათეულობით მილიონი ადამიანი ამჟამად მთელს მსოფლიოში განიცდის D ვიტამინის დეფიციტსა და უკმარისობას. წლის განმავლობაში მზიანი დღეების მაღალი წილის მიუხედავად, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, სამხრეთის ქვეყნებში – თურქეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, რეგისტრირებულია D ვიტამინის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი ჩრდილოეთის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებით მოზარდ გოგონებში. აღნიშნულია, რომ პოპულაციაში D ვიტამინის სტატუსზე გავლენას უფრო ახდენს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, ვიდრე გეოგრაფიული მდებარეობა და ფიზიკური ფაქტორები. D ჰიპოვიტამინოზი უფრო დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც გახანგრძლივებულია ძუძუთი კვება D ვიტამინით ფორტიფიკაციის გარეშე, სახელმწიფოს მიერ არ ხდება D ვიტამინით უზრუნველყოფის რეგულირება, მოსახლეობას ნაკლებად ესმის მისი აუცილებლობა ჯანმრთელობისათვის.

ბოლო წლების კვლევებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების მიხედვით თანდათან გაფართოვდა ინფორმაცია D ვიტამინის ფუნქციებისა და მათი გავლენების შესახებ ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თითქმის ყველა სისტემაშია აღმოჩენილი რეცეპტორები, რომლებიც რეაგირებენ D ვიტამინის კონცენტრაციაზე სისხლში და შესაბამისად ცვლიან ამა თუ იმ ორგანოსა და სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას. სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარებს შორის ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი თუ D ვიტამინის რა პარამეტრი ჩაითვალოს დეფიციტად და უკმარისობად, რომელ ასაკამდე და რა დოზით მოხდეს D ვიტამინის დეფიციტის პროფილაქტიკა, მოსახლეობის რომელი ჯგუფები ექვემდებარება სკრინინგულ კვლევას D ვიტამინის დეფიციტისა და უკმარისობის დადგენის მიზნით, რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტური იქნება მკურნალობის სქემებში D ვიტამინის ჩართვა სხვადასხვა

ინფექციური დაავადებების, მათ შორის სასუნთქი სისტემის დაავადებების გამოსავლის გაუმჯობესებისა და ხანგრძლივობის შემცირების მიზნით და სხვა. პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, ჯანმრთელობის ორგანიზაციებისა და მთავრობების ოფიციალური წარმომადგენლების მიერ მოსახლეობის ინფორმირებულობა ამ პრობლემის შესახებ არადაამაკმაყოფილებელია. როგორც ლიტერატურული მონაცემებით ჩანს, განსაკუთრებით სერიოზულია ეს პრობლემა განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ცნობილია, რომ D ვიტამინის დეფიციტი ბავშვებში იწვევს რაქიტს, მოზრდილ ასაკში კი ოსტეოპოროზის განვითარებას ჰიპოკალცემიის ფონზე. ბოლო წლებში მიღებული მონაცემებით აქტიურად განიხილება D3 ვიტამინის დეფიციტის როლი სხვა პათოლოგიური მდგომარეობების განვითარებაში, როგორებიცაა: სიმსუქნე, დიაბეტი, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, ნეირო-დეგენერაციული დაავადებები, სიმსივნეები, აუტოიმუნური, გულსისხლძარღვთა დაავადებების ეტიოპათოგენეზში. გამოქვეყნებული კლინიკური კვლევების შედეგების მიხედვით ფართოდ განიხილება D ჰიპოვიტამინოზის კავშირი როგორც მწვავე ინფექციურ, ისე ქრონიკულ აუტოიმუნურ, ენდოკრინულ დაავადებებთან, ასევე, მისი მონაწილეობა ტუბერკულოზური პროცესის პათოგენეზში.

ბოლო პერიოდის კვლევების მიხედვით, აქტიურად განიხილება D ვიტამინის გავლენა იმუნური სისტემის სწორ ფუნქციონირებაზე. დადგენილია, რომ ის მონაწილეობს თანდაყოლილი და შეძენილი იმუნური პასუხის ფორმირებაზე. D ვიტამინი გავლენას ახდენს B ლიმფოციტების პროლიფერაციას, დიფერენციაციასა და ანტისხეულების სეკრეციის, ასევე, T უჯრედების პროლიფერაციასა და დიფერენციაციის პროცესზე, თრგუნავს Th1 -დან Th2 ფენოტიპისაკენ გადახრას. დადგენილია D ვიტამინის გავლენა თრეგ-უჯრედების დიფერენციაციის პროცესზე, მისი მონაწილეობა აუტოიმუნური დაავადებების განვითარებაში. დადგენილია, რომ D3 ვიტამინი, თავის მხრივ, მოქმედებს პრო- და ანტი-ანთებითი ციტოკინების სინთეზზე, ინტერლეიკინების პროდუქციაზე – როგორებიცაა IL-1, IL-6, IL-8, IL-12 და TNF $\alpha$ . მეორეს მხრივ, იმუნური სისტემის უჯრედები რეაგირებენ ვიტამინ D3-ზე შესაბამისი რეცეპტორების საშუალებით, მონაწილეობენ მის სინთეზში.



ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, D3 ვიტამინის კონცენტრაცია სისხლში მნიშვნელოვანია მთელი რიგი დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების როგორც პრევენციისათვის სიცოცხლის ყველა ეტაპზე, ასევე დაავადების პროგნოზისათვის განსაკუთრებით ორსულობის, ახალშობილობის, ჩვილობისა და მოზარდობის ასაკში.

უკანასკნელი გაიდლაინების მიხედვით, D ვიტამინის დონის შესაფასებლად მიღებულია სისხლის პლაზმაში 25-ჰიდროქსი ვიტამინი D (25[OH]D) განსაზღვრა: 21-29 ნგ/მლ (52.5-72.5 ნმოლ/ლ) – დიაგნოსტიკა როგორც D ვიტამინის უკმარისობა, ხოლო თუ მისი კონცენტრაცია <20 ნგ/ლ (<50 ნმოლ/ლ) – საქმე გვაქვს D ვიტამინის დეფიციტთან. შესაბამისად, ნორმალურ მაჩვენებლად ითვლება D ვიტამინის კონცენტრაცია 31 -60ნგ/მლ (ამერიკის პედიატრიული აკადემიის მიხედვით 31-100ნგ/მლ). თუმცა გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული გაიდლაინები, სადაც D ვიტამინის დეფიციტად ითვლება 25(OH)D კონცენტრაცია <20ნმოლ/ლ, ხოლო უკმარისობად - D3 ვიტამინის კონცენტრაცია - 20ნმოლ/ლ-30ნმოლ/ლ, შესაბამისად, 25(OH)D კონცენტრაცია >30ნმოლ/ლ ითვლება საკმარის რაოდენობად ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, ამერიკის პედიატრიული აკადემიისა და ამერიკის ენდოკრინოლოგთა საზოგადოების რეკომენდაციების მიხედვით შემუშავებული და რეკომენდებულია D ვიტამინის პროფილაქტიკური დღიური დოზა ასაკისა და ბავშვის კვების ხასიათის მიხედვით – 400 IU /დღეღამეში ბუნებრივი და შერეული კვების შემთხვევაში დაბადებიდან 1 წლის ასაკამდე. მეორეს მხრივ, ჯანმო იძლევა რეკომენდაციას ბუნებრივი კვების გაგრძელების შესახებ 2 წლის ასაკამდე, მაგრამ D ვიტამინის შესახებ არაფერია მოწოდებული ამ შემთხვევისათვის. 1 წლიდან 18 წლამდე რეკომენდებულია 600 IU/დღეში, მოზრდილებში კი- 19-50 წლის ადამიანებისათვის 1500-2000 IU დღეში.

ბოლო პერიოდში გამოჩნდა პუბლიკაციები, სადაც ჩატარებული რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების სისტემური მიმოხილვითა და მეტაანალიზით დადასტურებულია D ჰიპოვიტამინოზის კავშირი ინფექციებით გაზრდილ ავადობასთან, რეკომენდებულია სასუნთქი სისტემის ავადობის შემცირებისათვის D ვიტამინით ფორტიფიკაცია, თუმცა პარალელურად ქვეყნდება შრომები, სადაც მიღებული მონაცემები სტატისტიკურად სარწმუნოდ არ

ჩაითვალა. შესაბამისად, უმრავლეს ავტორთა მიერ რეკომენდებულია კვლევის გაგრძელება და გაფართოება, D ვიტამინით ფორტიფიცირებული საკვების გამოყენება ინფექციების მკურნალობისას. ამავე დროს, საკმაოდ უხვია და ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები D ვიტამინის სტატუსის დადებითი კორელაციისა ქვემო სასუნთქი სისტემის ავადობის სიხშირესთან. შესწავლილია ვიტამინის D სტატუსი ასთმით დაავადებულ პაციენტებში, სადაც D ჰიპოვიტამინოზის გავლენა ასთმის სიმძიმეზე სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა. განიხილება D ვიტამინის დეფიციტის გავლენა პნევმონიის მიმდინარეობის ხანგრძლივობასა და სიმძიმეზე, მონაცემები, ასევე, ურთიერთსაწინააღმდეგოა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით რესპირატორული სისტემის მწვავე დაავადებები ავადობისა და სიკვდილობის ძირითად მიზეზად ითვლება ბავშვთა ასაკში. აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით ამბულატორიული და გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტებში ვიზიტების 10% რესპირაციულ დაავადებებს უკავშირდება. პნევმონია ბავშვთა სიკვდილობის ყველაზე ხშირი მიზეზია მსოფლიოში. ჯანმოს მონაცემებით, პნევმონიით 2019 წელს <5 წლამდე ასაკის 740 180 ბავშვი, ანუ ამ ასაკის პოპულაციის 14% დაიღუპა, 1-5 წლამდე ასაკში კი პნევმონიით სიკვდილობამ პოპულაციის 22% შეადგინა (163). განსაკუთრებით სერიოზულია პრობლემა განვითარებადი ქვეყნებისათვის. სადაც სიკვდილობის პროცენტი კიდევ უფრო მაღალია.

### **პროგრამის მიზანი**

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ასაკის ბავშვთა პოპულაციაში სისხლში D3 ვიტამინის შემცველობის განსაზღვრა რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით (მიზანი დღეების მაღალი სიხშირე) და მისი კონცენტრაციის გავლენა სასუნთქი სისტემის დაავადებების განვითარების სიხშირესა და სიმძიმეზე. D ჰიპოვიტამინოზის, როგორც პრობლემის ცნობადობის შესწავლა ჩვენი რეგიონის მოსახლეობაში.

## შრომის ამოცანები

- D3 ვიტამინის სტატუსის გამოვლენა თბილისის ბავშვთა პოპულაციაში ასაკის, სასუნთქი სისტემის ინფექციებით ავადობის მაჩვენებლის, დაავადების სიმძიმის, პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის გათვალისწინებით;
- კორელაციების დადგენა D3 ვიტამინის კონცენტრაციასა და რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირეზე,
- კორელაციების დადგენა სისხლში D3 ვიტამინის კონცენტრაციასა და პნევმონიის მიმდინარეობის სიმძიმესა და ხანგრძლივობას შორის;
- D3 ჰიპოვიტამინოზის გავლენა სისტემური ციტოკინების (როგორც პნევმონიის სიმძიმის მარკერების) რაოდენობაზე.
- მოსახლეობის ცნობადობის დადგენა D ვიტამინის დეფიციტის გავლენის შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

## კვლევის აქტუალურობა

ყოველი საზოგადოების უპირველეს საზრუნავს ფსიქო-ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა წარმოადგენს. ამდენად, ყოველი კვლევა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ბავშვთა ჯანმრთელობასა და ზრდა-განვითარებაზე მოქმედ მავნე ფაქტორთა გამოვლენასა და მათ პრევენციაზე, უთუოდ აქტუალურია.

სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარებს შორის ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი თუ D ვიტამინის რომელი კონცენტრაცია ჩაითვალოს დეფიციტად ან უკმარისობად, რომელ ასაკამდე და რა დოზით მოხდეს D ვიტამინის დეფიციტის პროფილაქტიკა ძვალ-კუნთოვანი სისტემის ნორმალური განვითარებისათვის, მოსახლეობის რომელი ჯგუფები ექვემდებარება სკრინინგულ კვლევას D ვიტამინის დეფიციტისა და უკმარისობის დადგენის მიზნით, რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტური იქნება მკურნალობის სქემებში D ვიტამინის ჩართვა სასუნთქი სისტემის დაავადებების გამოსავლის გაუმჯობესებისა და ხანგრძლივობის შემცირების მიზნით და სხვ.

ამგვარად, მნიშვნელოვანია ბავშვთა პოპულაციაში D ჰიპოვიტამინოზის სიხშირის და მისი გავლენის შესწავლა რესპირაციული ინფექციებით ავადობის

სიხშირესა და სიმძიმეზე, იმუნური სისტემის ფიზიოლოგიური უმწიფრობისა და რესპირაციული ინფექციების მაღალი პრევალენსის გათვალისწინებით.

პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, საქართველოში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა. უცნობია სისხლში D ვიტამინის შემცველობა საქართველოს რეგიონის მოსახლეობაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორსულებისა და ბავშვებისათვის, ნაყოფისა და ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ავადობის შემცირებისათვის. ბავშვის D ვიტამინით საკმარისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მშობლებს ესმოდეთ ამ ვიტამინის დეფიციტის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის, თუმცა საქართველოში ამ პრობლემის ცნობადობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

### **კვლევის მეცნიერული სიახლე**

წარმოდგენილი ნაშრომი არის ორიგინალური შრომა. კვლევის შედეგად პედიატრიულ პოპულაციაში შესწავლილ იქნა D ვიტამინის დეფიციტის გავლენა რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირესა და სიმძიმეზე, გამოვლენილ იქნა, რომ D ვიტამინის დეფიციტი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია მძიმე პნევმონიის განვითარებისათვის. შესწავლილ იქნა პედიატრიული პნევმონიის დროს D ვიტამინის დეფიციტის გავლენა ციტოკინურ პროფილზე, რაც პნევმონიის მიმდინარეობის სიმძიმის მარკერს წარმოადენს.

ჩვენი კვლევის შედეგად, პირველად მოხდა ბავშვებში ასაკობრივ ასპექტში D ვიტამინის სტატუსის შეფასება საქართველოს პოპულაციაში. კვლევის შედეგების მიხედვით, მხოლოდ 5 წლამდე ასაკის ჯანმრთელ ბავშვებს ჰქონდათ სისხლში D3 ვიტამინის საკმარისი რაოდენობა. გამოვლინდა D ჰიპოვიტამინოზი ჯანმრთელ მოზარდებში. პირველად მოხდა D ვიტამინის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობადობის შეფასება. გამოვლინდა, რომ მშობელთა ინფორმირებულობა D ვიტამინის გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, საკმაოდ დაბალია. მიღებულ შედეგებს აქვს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული ღირებულება, ვინაიდან აფართოებს ლიტერატურულ მონაცემებს პრობლემის შესახებ და ასევე ხაზს უსვამს D

ჰიპოვიტამინოზის პროგნოზულ ღირებულებას რესპირაციული ინფექციების მიმდინარეობის სიმძიმის განსაზღვრისათვის.

ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები ამ პრობლემის გადაჭრისათვის, რაც მნიშვნელოვანი იქნება D ჰიპოვიტამინოზის პრევენციისა და პოპულაციის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.

### სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება

- ჩვენი კვლევის შედეგებით დადასტურდა D ჰიპოვიტამინოზის გავლენა რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირესა და სიმძიმეზე.
- D ჰიპოვიტამინოზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პნევმონიის მძიმე მიმდინარეობის მარკერად.
- გამოვლინდა D ჰიპოვიტამინოზი ჯანმრთელ მოზარდებში. მისი პრევენცია კი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით გოგონებში (მომავალ დედეებში), ვინაიდან ორსულობის პერიოდში D ჰიპოვიტამინოზი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნაყოფისა და ახალშობილის განვითარებასა და ავადობაზე. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები მოზარდებში D ვიტამინის დეფიციტის პრევენციის მიზნით.
- გამოვლინდა საქართველოს მოსახლეობის ცნობადობის დაბალი ხარისხი D ჰიპოვიტამინოზის გავლენის შესახებ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მიღებული შედეგებით რეკომენდებულია ზოგადი პედიატრებისა და ოჯახის ექიმების მიერ გაიზარდოს მშობლების ინფორმირებულობის ხარისხი, რაც გააუმჯობესებს ბავშვების D ვიტამინით უზრუნველყოფას და შეამცირებს D ჰიპოვიტამინოზის გართულებებს.

### პუბლიკაციები

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო პუბლიკაცია:

1. Jachvadze M, Gogberashvili K. Assessment of Knowledge Level Among Georgian Parents About Vit D Influence on Child's Health. GMN. No-10, pp. 158-161, 2020;

2. Jachvadze M, Shanidze L.SH, Gubelidze N.G, Gogberashvili K.J. Vitamin D Status Among Georgian Children with High Acute Respiratory Morbidity. Tbilisi State Medical University, TSSU Zhvania Pediatric Academic Clinic, GMN, No 5, pp. 95-99, 2021;
3. Jachvadze M, Cholokava N, Gogberashvili K. Influence of Vitamin D on Human's Health (Review). GMN. No-12, pp. 36-41, 2021;
4. ჯაჭვამე მ., გოგბერაშვილი ქ. D ჰიპოვიტამინოზი და საზოგადოებაში შექმნილი პნევმონიის მიმდინარეობის თავისებურებანი ბავშვთა ასაკში. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, N-1, გვ. 87-93, 2022;
5. ჯაჭვამე მ., ფანცულაია ი., გოგბერაშვილი ქ. კორელაცია D 3 ვიტამინის დეფიციტსა და სისტემური ციტოკინების რაოდენობას შორის საზოგადოებაში შექმნილი პნევმონიების დროს ბავშვებში. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, N-3, გვ. 21-27, 2022.



## თავი 2. თანამედროვე შეხედულებები D ვიტამინის გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (ლიტერატურის მიმოხილვა)

ჩატარებული იქნა რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების, გამოქვეყნებული ლიტერატურული წყაროების, მიმოხილვითი პუბლიკაციების სისტემური შესწავლა. წყარო - Medline, Embase, the Cochrane Central Register of Controlled Trials, Web of Science, ClinicalTrials.gov. საკვანძო საძიებო სიტყვები იყო: ვიტამინი D, ბავშვთა ასაკი, ვიტამინი D დეფიციტი, D ჰიპოვიტამინოზის გავრცელება, საზოგადოებაში შეძენილი პნევმონია, ციტოკინები; პერიოდი - 2011-2021 წწ.

თანამედროვე მდგომარეობით, D ვიტამინის დეფიციტი ჯანმრთელობის გლობალურ პრობლემად ითვლება (33,44,77,87,89,91,113,114,118,159), მაგრამ ჯერჯერობით ჯანდაცვის წარმომადგენლების მიერ მოსახლეობის ინფორმირებულობა ამ პრობლემის შესახებ არაადაკმაყოფილებელია (31,98,181). როგორც ლიტერატურული მონაცემებით ჩანს, განსაკუთრებით სერიოზულია ეს პრობლემა განვითარებადი ქვეყნებისათვის (3,6, 137,155,169). შესაბამისად, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების - ენდოკრინოლოგთა ინტერნაციონალური საზოგადოება, ძვალკუნთოვანი სისტემის კვლევის საზოგადოებათა ინტერნაციონალური ფედერაცია, პედიატრ-ენდოკრინოლოგთა საზოგადოება, ევროპის პედიატრიული ენდოკრინოლოგიის საზოგადოება - მიერ პერიოდულად ხდება შესაბამისი მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება D ვიტამინის დეფიციტის პრევენციისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ (71,72). D ვიტამინის შესახებ მე-3 საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 2019 წლის სექტემბერში იტალიის ქალაქ გუბიოში ჩატარდა, შეკრებილ იქნა მთელი მსოფლიოდან ექსპერტები. განხილულ იქნა D ვიტამინთან დაკავშირებული საკამათო საკითხები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი - სისხლში D ვიტამინის რა კონცენტრაცია ჩაითვალოს დეფიციტად, ან საკმარის რაოდენობად, რა რეჟიმით დაინიშნოს D ვიტამინი და რომელ ასაკამდე საჭიროებს ბავშვი D ჰიპოვიტამინოზის პროფილაქტიკას, მისი მოქმედების

განსხვავებული სფეროები, გავრცელება განვითარებად ქვეყნებში. განხილულ იქნა უახლესი რანდომიზირებული კლინიკური კვლევების შედეგები D ვიტამინის თერაპიული მოქმედების შესახებ სიმსივნეების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის დროს. აღინიშნა, რომ სხვადასხვა კლინიკურ კვლევებში მიღებული შედეგები საკამათოა დიზაინის, ან D ვიტამინის საბაზისო მნიშვნელობის არაერთგვაროვნების გამო. ჯანმოსთვის შემუშავებულ იქნა 2030 წლისათვის რაქიტის ერადიკაციის პროგრამა (22,73).

## **2.1. D ვიტამინის დახასიათება, ფიზიოლოგია, ბიოლოგიური მოქმედება და ფუნქციები**

D ვიტამინი სეკოსტეროიდია ჰორმონალური თვისებებით, რომელიც არეგულირებს 600-მდე სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი გენის ექსპრესიას ადამიანის ორგანიზმში და, შესაბამისად, აუცილებელია ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის (16,40). ცნობილია D ვიტამინის ორი ფორმა - მცენარეული - ერგოკალციფეროლი (D2 ვიტამინი) და ცხოველური ფორმა - ქოლეკალციფეროლი (D3 ვიტამინი). ადამიანის ორგანიზმში ერგოკალციფეროლი ხვდება საკვებისა და დანამატების საშუალებით, ხოლო ქოლეკალციფეროლის წყაროა მისი ენდოგენური პროდუქცია მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით, საკვები და დანამატები. ამგვარად, სისხლში მისი შემცველობა დამოკიდებულია მზის ულტრაიისფერი გამოსხივების საშუალებით კანში წარმოქმნილი და საკვებით მიღებული D ვიტამინის რაოდენობაზე. კანზე ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ლიპიდი - 7-დეჰიდროქოლესტეროლის სტრუქტურის B რგოლში იხსნება კავშირი C9-C10 და წარმოიქმნება პრევიტამინი D, რომელიც განიცდის თერმულ იზომერიზაციას, უკავშირდება D ვიტამინის შემაკავშირებელ ცილას (DBP) და ცირკულირებს სისხლში. კანში D ვიტამინის სინთეზზე გავლენას ახდენს ასაკი, კანის ფერი, მზის სხივების ზემოქმედების დრო, წლის დრო, კვება, საცხოვრებელი ადგილი (13,18,26,113). ჯერ კიდევ არ არსებობს კონსენსუსი, მზის ხანმოკლე ზემოქმედებისას რა დოზით უნდა მოხდეს D ვიტამინით ფორტიფიკაცია ნორმალური შემცველობის მისაღწევად (73). რაც შეეხება საკვებს - D ვიტამინს შეიცავს სოკო, რძის პროდუქტები, ზოგიერთი სახის თევზი, ხიზილალა, კვერცხი. მცირე სახეობის საკვები და ისიც ძალიან მცირე



რაოდენობით, რაც ვერ აკმაყოფილებს ვიტამინზე მოთხოვნილებას, ვერც ბავშვობის და ვერც მოზრდილობის ასაკში (57,58,63,85,156). ამდენად ბოლო გაიდლაინებით რეკომენდებულია საკვების ფორტიფიკაცია D ვიტამინით (196).

საკვებით მიღებული და კანში წარმოქმნილი D ვიტამინი ბიოლოგიურად არააქტიურია. აქტიურ ფორმაში მისი კონვერტაცია (ჰიდროქსილირება) ხდება ფერმენტების საშუალებით ჯერ ღვიძლში ფერმენტ D-25-ჰიდროქსილაზას საშუალებით. წარმოიქმნება კალციფედიოლი (25-ჰიდროქსიქოლეკალციფეროლი - 25(OH)D. საერთაშორისო კონსენსუსით სწორედ მისი განსაზღვრა ხდება სისხლში D ვიტამინის დონის შეფასებისათვის (27,32,34,35,122). კალციფედიოლის შემდგომი ჰიდროქსილირება ხდება თირკმელების მიერ ფერმენტ 25(OH)D-1 $\alpha$ -OHasa (CYP27B1) საშუალებით და წარმოიქმნება D ვიტამინის აქტიური ფორმა კალციტრიოლი (1,25-დიჰიდროქსიქოლეკალციფეროლი - 1,25(OH)2D3). ის უკვე იძენს ჰორმონის მსგავს აქტივობას და მისი ძირითადი ფუნქციაა კალციუმისა და ფოსფორის დონის რეგულირება, ძვლების ნორმალური ზრდისა და ფორმირების ხელშეწყობა. აქტიური D3 ვიტამინი (კალციტრიოლი) უკავშირდება სამიზნე უჯრედების ინტრაცელულარულ ნუკლეარულ D ვიტამინის რეცეპტორს (VDR). ეს სამიზნე უჯრედები გარდა ნაწლავების, ძვლებისა და თირკმელებისა, მდებარეობენ სხვადასხვა ქსოვილებსა და ორგანოებში – თავის ტვინი, გული, კანი, სასქესო ორგანოები, პროსტატა, სარძევე ჯირკვალი, იმუნური უჯრედები. დადგენილია, რომ 25(OH)D-1 $\alpha$ -ჰიდროქსილაზას (CYP27B1) გამომუშავების უნარი აქვს ორსულობის პერიოდში პლაცენტის როგორც დეციდუალურ უჯრედებს, ისე ტროფობლასტებს. ამ უჯრედებშივე აღმოჩენილია VDR. ვინაიდან 1,25(OH)2D3 ვერ გადის პლაცენტას, ამ უჯრედების მიერ CYP27B1-ის საშუალებით კალციფედიოლიდან ხდება კალციტრიოლის წარმოქმნა რაც განაპირობებს სწორედ D ვიტამინის მრავალფეროვან ეპიგენეტიკურ ზემოქმედებას როგორც ნაყოფის ფორმირებაზე, ისე დაბადების შემდგომ ბავშვის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებაზე (41,61,94). არსებობს მონაცემები ორსულის სისხლში მშობიარობის დროს D ვიტამინის შემაკავშირებელი პროტეინის (DBP) მაღალ დონესა და ბავშვებში T1D - განვითარების შედარებით დაბალ რისკს შორის. ასევე 25(OH)D მაღალი დონე დაბადებისას ამცირებს T1D განვითარების რისკს ბავშვებში VDR სპეციფიკური გენოტიპის გათვალისწინებით (191).

კალციტრიოლის (1,25(OH)<sub>2</sub>D) მოქმედებით ნაწლავებში, ძვლებში, თირკმელებში და პარათირეოიდულ ჯირკვლებში VDR აქტივაცია (პარათჰორმონსა და კალციტონინთან ერთად) განაპირობებს სისხლში კალციუმისა და ფოსფორის საკმარისი დონის შენარჩუნებას ძვლების ფორმირებისა და ზრდის უზრუნველყოფისათვის (43,96,97,135,141). D ვიტამინის გარეშე საკვებით მიღებული კალციუმის მხოლოდ 15% და ფოსფორის 60% შეიწოვება ნაწლავებიდან. მისი საშუალებით კი, 30-40% კალციუმი და 80% ფოსფორის შეწოვა ხდება. თირკმელებში 1,25(OH)<sub>2</sub>D -ი VDR – ის აქტივაციის საშუალებით ხელს უწყობს კალციუმის რეაბსორბციას თირკმლის მილაკებში (90).

## 2.2. ვიტამინის განსხვავებული ფუნქციები, იმუნური სისტემა

ბოლო პერიოდის კვლევების მიხედვით, აქტიურად განიხილება D ვიტამინის გავლენა იმუნური სისტემის სწორ ფუნქციონირებაზე (37,62,74,123,142,210). დადგენილია, რომ ის მონაწილეობს თანდაყოლილი და შეძენილი იმუნური პასუხის ფორმირებაზე. D ვიტამინი გავლენას ახდენს B ლიმფოციტების პროლიფერაციას, დიფერენციაციასა და ანთისხეულების სეკრეციის, ასევე, T უჯრედების პროლიფერაციასა და დიფერენციაციის პროცესზე, თრგუნავს Th1-დან Th2 ფენოტიპისაკენ გადახრას. დადგენილია D ვიტამინის გავლენა Treg-უჯრედების (CD4+, CD8) დიფერენციაციის პროცესზე, მისი როლი აუტოიმუნური დაავადებების განვითარების პრევენციაში (62) D3 ვიტამინის ზემოქმედებით მცირდება პროანთებითი ციტოკინების (IL-17, IL-21) და იზრდება ანტიანთებითი ციტოკინების, როგორცაა IL 10, პროდუქცია (123). Treg-უჯრედები (CD4+, CD8) მონაწილეობენ აუტოიმუნური პროცესების პრევენციასა და იმუნური პასუხის რეგულაციის პროცესებში (იმუნური ჰომეოსტაზი). დადგენილია, რომ D3 ვიტამინი, თავის მხრივ მოქმედებს ინტერლეკინების პროდუქციაზე – როგორებიცაა IL-1, IL-6, IL-8, IL-12 და TNF $\alpha$  (4,5). მეორეს მხრივ, იმუნური სისტემის უჯრედები რეაგირებენ ვიტამინ D3-ზე შესაბამისი რეცეპტორების საშუალებით, მონაწილეობენ მის სინთეზში (74,123,210). კალციტრიოლი (გააქტიურებული D ვიტამინის რეცეპტორი -VDR ) აფერხებს დენდრიტული უჯრედების მომწიფებას და მათ უნარს გაააქტივოს T ლიმფოციტები (50,74). ასევე, მცირდება მაკროფაგებისა და მონოციტების T

ლიმფოციტების გამააქტივებელი მოქმედება (74,210). VDR - გააქტიურება ამცირებს Th1 ციტოკინების სეკრეციას და თრგუნავს T- უჯრედების პროლიფერაციას, IFN-გამას პროდუქციას, ამცირებს IL-4, IL-13, IL-12 ექსპრესიას. VD ასტიმულირებს Treg - უჯრედებს CD4+, CD25+ და IL-10. VDR აქტივაცია თრგუნავს B ლიმფოციტების მიერ IgE ექსპრესიას და ასტიმულირებს IL-10 გამომუშავებას.

თირკმლის გარდა 1- $\alpha$ -ჰიდროქსილაზა (CYP27B1), რომლის საშუალებითაც 25 D- ს კონვერტაცია ხდება 1,25 D-ფორმაში, სხვა ქსოვილებშიც გამომუშავდება. ასევე, D ვიტამინის რეცეპტორი (VDR) აღმოჩენილია იმუნური სისტემის უჯრედებში-მონოციტებში, მაკროფაგებში, დენდრიტულ უჯრედებში, T და B უჯრედებში. დადგენილია, რომ T და B ლიმფოციტებს აქვთ 1,25 D -სინთეზის უნარი და რეაგირებენ მის კონცენტრაციაზე (74).. ექსტრარენალური 1- $\alpha$ -ჰიდროქსილაზა განსხვავდება რენალური ჰიდროქსილაზისაგან და არ რეაგირებს პარათირეოიდული ჰორმონის დონეზე. მასზე გავლენას ახდენს ციტოკინები IFN- $\gamma$ , IL-1 და TNF- $\alpha$  []. ამგვარად, 1,25(OH) $_2$ D $_3$  აქტიური ფორმა შესაძლებელია წარმოიქმნას იმუნური უჯრედების მიერ და მონაწილეობა მიიღოს პათოგენის უვნებელყოფაში (74).

პირველადი იმუნური უჯრედების შესწავლისას გამოვლენილ იქნა D $_3$  ვიტამინის მარეგულირებელი ფუნქცია პათოგენის ამომცნობ რეცეპტორებზე იმუნური პასუხის გაუმჯობესების მიზნით. უკანასკნელი წლების კვლევებით გამოვლინდა D ვიტამინის როლი პათოგენის ელიმინაციის პროცესში. დენტრიტულ უჯრედებთან ერთად, მაკროფაგები და მონოციტები არიან ძირითადი უჯრედები, რომლებიც ახდენენ პათოგენის ფაგოციტოზს და ინფორმაციას ანტიგენის შესახებ აძლევენ T უჯრედებს. გამოვლინდა, რომ მაკროფაგებსა და მონოციტებში ხდება D ვიტამინის ლოკალური აქტივაცია D ვიტამინის რეცეპტორის (VDR) ექსპრესია (74,210).

შესაბამისი კვლევებით გამოვლინდა მონოციტების ანტიტუბერკულოზური აქტივაცია VDR-ს აქტივაციასთან ერთად (74,211). დადგენილია, რომ მონოციტებს შეუძლია მოახდინოს *M. tuberculosis* ფაგოციტოზი, ან პათოგენის ამომცნობი რეცეპტორის ექსპრესია (59,74). ერთერთი მექანიზმით, 25(OH)-VD შედის მონოციტში, უჯრედის მიტოქონდრიაში 1,25(OH) $_2$ -VD ფორმაში კონვერტაციის

შემდგომ უკავშირდება ვიტამინი D რეცეპტორს და ააქტიურებს კათელიციდინის - ანტიმიკრობული პეპტიდის გამომუშავებას. კათელიციდინის გენის აქტივაცია ვიტამინი D საშუალებით მხოლოდ ადამიანებში ვლინდება და ცხოველებში ეს მექანიზმი არ დასტურდება (74).

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub> -ის რეცეპტორი ააქტიურებს გენებს, რომლებიც ახდენენ ანტიმიკრობული პეპტიდების კათელიციდინის (CAMP/LL37) და ბეტა დეფენსინ 2/დეფენსინ 4-ის (HBD2/DEFB4) კოდირებას (74). ისინი შლიან მაკროფაგების მიერ ფაგოციტირებული ბაქტერიების გარსს და ამგვარად აქვთ პოტენციური ანტიბაქტერიული მოქმედება. ამ პეპტიდების ტრანსკრიპცია აბსოლუტურად დამოკიდებულია D<sub>3</sub> ვიტამინის რაოდენობაზე. ცნობილია ასევე D<sub>3</sub> ვიტამინის როლი ტუბერკულოზის მიმდინარეობაში (59,99). *Mycobacterium tuberculosis*-ით ინფიცირებისას, მაკროფაგებში D ვიტამინის აქტიური ფორმა ასტიმულირებს სხვადასხვა ციტოკინის პროდუქციას, კერძოდ IL-1 $\beta$  და ნეიტროფილური ქემოკინი IL-8/CXCL8 (99). ძველთაგანვე ცნობილია ჰელიოთერაპიის (მზის სხივებით მკურნალობა) გამოყენება ტუბერკულოზით დაავადებულებისათვის. მაშინ ფიქრობდნენ, რომ მზის სხივები პირდაპირ კლავდა ტუბერკულოზის გამომწვევ მიკობაქტერიას. ასევე წარმატებით გამოიყენებოდა თევზის ქონი (მდიდარი D ვიტამინით) ტუბერკულოზის მკურნალობაში და ზოგადად ავადობის შემცირების მიზნით.

ასევე, თანამედროვე კვლევებით დადასტურებულია, რომ 1,25(OH)<sub>2</sub>-VD-თრგუნავს B უჯრედების დიფერენციაციას პლაზმურ უჯრედებად და ახდენს იმუნოგლობულინების პროდუქციის მოდულაციას (74).

საინტერესოა მონაცემები D<sub>3</sub> ვიტამინის აქტიური ფორმის გავლენის შესახებ ფილტვის ქსოვილის განვითარებაზე და დღენაკლებში რესპირატორული დისტრეს სინდრომის განვითარების პრევენციისათვის. Gatera a., et.ai. (2022) ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვის მიხედვით, შეჯამებულ იქნა 2009-2017 წლებში ვირთხებზე და დღენაკლ ახალშობილებზე ჩატარებული 11 კვლევის შედეგი, სადაც დადასტურებულ იქნა 1,25(OH)<sub>2</sub>D<sub>3</sub>-ის გავლენა მე-2 ტიპის ალვეოლურ უჯრედებზე, სურფაქტანტის პროდუქციის სტიმულაცია, ოქსიგენაციის გაუმჯობესება, შესაბამისად ახალშობილთა დისტრეს სინდრომის

პრევენცია (66). ავტორთა აზრით, შემდგომი შესწავლის მიზანი უნდა გახდეს D ვიტამინის დოზირება და ორსულობის რა ფაზაში მოხდეს დედის D ვიტამინით ფორტიფიკაცია (166). Moon RJ და თანაავტორების მიერ (2020) ჩატარებული მომიხილვითი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით არ არსებობს კონსენსუსი ორსულებში D ვიტამინის პროფილაქტიკური დოზის გავლენის შესახებ ნაყოფსა და ახალშობილში ძვლოვანი სისტემის ნორმალურ განვითარებაზე (138,167). ავტორთა აზრით, საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს. მსგავსი მონაცემები გამოაქვეყნდა მკვლევართა სხვადასხვა ჯგუფების მიერ. რეკომენდებულია მეძუძური დედების მონიტორინგი D ჰიპოვიტამინოზის გამოვლენის მიზნით და მათთვის D ვიტამინის პროფილაქტიკური დოზის მიღების საჭიროების შესახებ ჩვილებში D ჰიპოვიტამინოზის პრევენციის მიზნით (173,175,198,214).

### 2.3. D ვიტამინის სტატუსი

2011 წელს ენდოკრინული საზოგადოების მიერ დამტკიცებულ იქნა D ვიტამინის შეფასების, მკურნალობისა და პრევენციის კლინიკური პრაქტიკული გაიდლაინი (90), სადაც D ვიტამინის დონის შესაფასებლად მიღებულ იქნა სისხლის პლაზმაში 25-ჰიდროქსი ვიტამინი D (25[OH]D) განსაზღვრა. კონცენტრაცია - 21-29 ნგ/მლ (52.5-72.5 ნმოლ/ლ) – შეფასდა როგორც D ვიტამინის უკმარისობა, ხოლო კონცენტრაცია <20 ნგ/მლ (<50 ნმოლ/ლ) – როგორც D ვიტამინის დეფიციტი. შესაბამისად, ნორმალურ მაჩვენებლად ჩაითვალა D ვიტამინის კონცენტრაცია 31 -80ნგ/მლ (>75ნმოლ/ლ -200ნმოლ/ლ) (90,156,174). ამ მონაცემების მიხედვით მსოფლიოს თითქმის მესამედი აღმოჩნდა ვიტამინი D-უკმარისობით, აქედან ევროპის მოსახლეობის 40%, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 90% (87,89,124,156). სხვადასხვა ავტორების მიერ შეჯამებულ იქნა 44 ქვეყანაში ჩატარებული 195 კლინიკური კვლევის 168 000-მდე შემთხვევის მონაცემები. შრომის მიზანი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში D ვიტამინის დონის შეფასება ასაკის, სქესის და რეგიონების მიხედვით. სისტემატური ლიტერატურის მიმოხილვისათვის გამოყენებულ იყო Medline და EMBASE მონაცემთა ბაზა. D ვიტამინის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 4,9-136,2 ნმოლ/ლ (გამოკვლეულთა 37.3% <50ნმოლ/ლ). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა



ჩრდილო ამერიკაში. ასაკთან დაკავშირებული განსხვავებები დაფიქსირდა აზია/წყნარი ოკეანის აუზის და შუა აღმოსავლეთის/აფრიკის რეგიონებში. გამოვლინდა, რომ ახალშობილები და ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვები ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მესვეურების მხრივ საჭიროებენ პრევენციულ ღონისძიებებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე D ვიტამინის დონის მართვის მიზნით (124, 137).

მას შემდეგ ბოლო 10 წლის მანძილზე შემუშავებულ იქნა და გამოქვეყნდა რამდენიმე ახალი საერთაშორისო და რეგიონალური გაიდლაინი (88,140,169,172,197). 2016 წელს გამოქვეყნებული საერთაშორისო გაიდლაინით, რომელიც შემუშავებულ იყო საერთაშორისო ექსპერტებისაგან შემდგარი 5 სამუშაო ჯგუფის მიერ, D ვიტამინის დეფიციტად განისაზღვრა მისი კონცენტრაცია სისხლში < 30 ნმოლ/ლ, უკმარისობა 30-50 ნმოლ/ლ და საკმარისი რაოდენობა, თუ D ვიტამინის კონცენტრაცია > 50 ნმოლ/ლ-ზე. ბოლო წლების ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ჩატარებული მრავალმხრივი კლინიკური კვლევების საფუძველზე, სამედიცინო საზოგადოებების უმრავლესობა თვლის, რომ D ვიტამინის კონცენტრაცია მხოლოდ > 75 ნმოლ/ლ შეიძლება განიხილებოდეს უსაფრთხოდ ბავშვის ორგანიზმის ძვალსახსროვანი და სხვა სისტემების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ხოლო დეფიციტად მიღებულია D ვიტამინის კონცენტრაცია < 75 ნმოლ/ლ (< 30 ნგ/მლ) (17,23,24,69,118, 156,172). Sempos CT, Brinkley N. - გამოქვეყნებული შრომის მიხედვით, სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულია D ვიტამინის დაფიციტისა და უკმარისობის სხვადასხვა ნორმატიული მაჩვენებელი, რაც შეუძლებელს ხდის მსჯელობას ამ პრობლემის გავრცელების შესახებ. სხვადასხვა ეროვნული გაიდლაინებით ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია რეკომენდაციები თუ როდის და რა დოზით მოხდეს D ვიტამინით ფორტიფიკაცია (178,179,197).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, ენდოკრინოლოგთა საზოგადოების, რეგიონალური გაიდლაინების რეკომენდაციების მიხედვით შემუშავებული და რეკომენდებულია D ვიტამინის პროფილაქტიკური დღიური დოზა ასაკისა და ბავშვის კვების ხასიათის მიხედვით – 400 IU /დღეღამეში ბუნებრივი და შერეული კვების შემთხვევაში დაბადებიდან 1 წლის ასაკამდე (41,104,169,190). მეორეს მხრივ, ჯანმო იძლევა რეკომენდაციას ბუნებრივი კვების გაგრძელების შესახებ 2 წლის

ასაკამდე, მაგრამ D ვიტამინის შესახებ არაფერია მოწოდებული ამ შემთხვევისათვის. სამწუხაროდ, მშობელთა არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ჯანმრთელობის რეკომენდაცია არ სრულდება, რაც D ჰიპოვიტამინოზის მაღალი გავრცელების მიზეზი ხდება ჩვილობის ასაკში (168,181). ენდოკრინოლოგთა საზოგადოების მიერ 2011-2017 წწ გაიდლაინებით (90, 140), 1 წლიდან 18 წლამდე რეკომენდებულია 600 IU/დღეში, მოზრდილებში კი- 19-50 წლის ადამიანებისათვის 800 IU- დან 1500-2000 IU დღეში რისკ ჯგუფებისათვის, თუ არ არის მზის სხივებით შესაბამისი ინსოლაცია (71,73,118,156). მოზარდთა ჯანმრთელობისა და მედიცინის საზოგადოების (The Society for Adolescent Health and Medicine) რეკომენდაციით, მოზარდებში რეკომენდებულია D ვიტამინით გახანგრძლივებული ფორტიფიკაცია-600 IU დღეში ჯანმრთელი მოზარდებისათვის და - 1000 IU დღეში რისკ ჯგუფის მოზარდებისათვის. დამატებით, რეკომენდირებულია D ვიტამინით მდიდარი დიეტა და მზით შესაბამისი სარგებლობა (186). ასეთივე რეკომენდაციებია გამოქვეყნებული იტალიელი, ინდოელი, რუსი, იაპონელი და სხვ. ავტორების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად (114, 143, 187, 200).

ეს რეკომენდაციები ეხება ჯანმრთელ ინდივიდებს, ვისაც არ აღენიშნებათ ოსტეოპოროზი და ძვლის მეტაბოლური დაავადებები. ამდენად მნიშვნელოვანია კონსენსუსი, რაც ჯერჯერობით საკამათოდ რჩება, თუ D ვიტამინის რა მონაცემი ჩაითვალოს დეფიციტად, ან საკმარის რაოდენობად, D ვიტამინის რა ფორმა ჯობია იქნეს გამოყენებული მკურნალობისათვის -კალციფედოლი, თუ ქოლეკალციფეროლი, რის მიხედვით მოხდეს რეკომენდებული პროფილაქტიკური დოზის კორექცია (29,53,109,161,165). პაციენტებში ძვლის მეტაბოლური დაზიანებით, D ვიტამინის დოზირება განსხვავებულია (136), თუმცა Smith LM et al.(2017/) გამოქვეყნებულ შრომაში ასაკოვან პოპულაციაში მაღალი დოზებით D ვიტამინით ფორტიფიკაცია ზრდის ვარდნის სიხშირეს (185). დადგენილია, რომ ანტიოსტეოპოროზული მედიკამენტების მოქმედება ძლიერდება როდესაც ვიტამინი D და კალციუმის რაოდენობა სისხლში საკმარისია. Bouillon R., Lips P., Bilezikian JP, (2019), Yao et al.(2019) გამოქვეყნებული მონაცემებით, მოტეხილობის პრევენციისა და ძვლის მეტაბოლიზმის

გაუმჯობესების მიზნით საჭიროა კალციუმისა და ვიტამინი D ერთდროული დანიშვნა და მათი რაოდენობის მონიტორინგი სისხლში (24,71,197,209).

#### **2.4. D ვიტამინის დეფიციტი, მიზეზები, გავრცელება და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე**

უკანასკნელი წლების მონაცემებით, დაახლოებით 1 ბილიონი ადამიანი განიცდის D ვიტამინის დეფიციტს, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის 50% - D ვიტამინის უკმარისობას (32,33,44,49,87,91,126). მონაცემები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. წლის განმავლობაში მზიანი დღეების მაღალი წილის მიუხედავად, სამხრეთის ქვეყნებში – თურქეთი საბერძნეთი, იტალია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, სამხრეთ აფრიკა, რეგისტრირებულია D ვიტამინის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი ჩრდილოეთის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით (77,81,124,137). ბოლო წლებში გაჩნდა პუბლიკაციები მოზარდებში D ჰიპოვიტამინოზის გავრცელების შესახებ, რომლებიც მოწოდებული გაიდლაინებით არ ითვლებიან რისკ-ჯგუფად და მოწოდებულ რეკომენდაციებში არ არის გათვალისწინებული მათი მონიტორინგი და D ვიტამინით ფორტიფიკაცია განსაკუთრებით მოზარდ გოგონებში (38, 73, 75, 170,171,172,186,187, 200). მოზარდ პოპულაციაში D ჰიპოვიტამინოზის გავრცელების შესახებ არასაკმარისი მონაცემების გათვალისწინებით, სისხლში D ვიტამინის კონცენტრაციის განსაზღვრა ჩართულ იქნა პროგრამაში - ცხოვრების ჯანსაღი წესი კვების მიხედვით ევროპულ მოზარდებში - (the Healthy Lifestyle in Europe by Nutrition in Adolescence - HELENA study). Cashman KD, et al., (2016, 2017)- მიერ ჩატარებული იყო ევროპულ პოპულაციაში, მათ შორის ბავშვებში განხორციელებული ყველა კვლევის (14971 სუბიექტი 1-18 წლამდე) მეტაანალიზი. ავტორებმა შექმნეს D ვიტამინის სტანდარტიზირებული პროგრამა და შესაბამისი პროტოკოლები 25(OH)D არსებული მონაცემების მიხედვით. D ჰიპოვიტამინოზის გავრცელებამ ასაკის მიხედვით: 1-6 წ, 7-14 წ., 15-18 წ შეადგინა შესაბამისად - 4-7%, 1-8% და 12-40%, რის საფუძველზეც აღინიშნა, რომ ყურადღება D ჰიპოვიტამინოზის პრევენციასა და მკურნალობას უნდა მიექცეს არა მხოლოდ ჩვილობის, არამედ მოზარდობის ასაკშიც. იტალიის პედიატრიული



საზოგადოების რეკომენდაციის მიხედვით (Saggese G., et al., 2018), D ვიტამინის განსაზღვრა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს პოპულაციის რისკ ჯგუფებში, ვინც იმყოფება მედიკამენტოზურ მკურნალობაზე პრეპარატებით, რომლებიც მოქმედებენ D ვიტამინის მეტაბოლიზმზე, ან ავად არიან ქრონიკული პათოლოგიით. აღნიშნულია, რომ პოპულაციაში D ვიტამინის სტატუსზე გავლენას უფრო ახდენს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, ვიდრე გეოგრაფიული მდებარეობა და ფიზიკური ფაქტორები. D ჰიპოვიტამინოზი უფრო დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც გახანგრძლივებულია ძუძუთი კვება D ვიტამინით ფორტიფიკაციის გარეშე, სახელმწიფოს მიერ არ ხდება D ვიტამინით უზრუნველყოფის რეგულირება, მოსახლეობას ნაკლებად ესმის მისი აუცილებლობა ჯანმრთელობისათვის (31,73,98,155). D ჰიპოვიტამინოზის მიზეზად ზოგიერთ პოპულაციაში ბოლო წლებში გენეტიკური ფაქტორებიც განიხილება, როდესაც გენეტიკური მოტაციის შედეგად არ ხდება ფერმენტ 25(OH)D-1 $\alpha$ -Ohasa-ს (CYP27B1) სამუალებით D ვიტამინის აქტიური ფორმის კალციტრიოლის (1,25-დიჰიდროქსიქოლეკალციფეროლი – 1,25(OH)2D3) წარმოქმნა (164).

ცნობილია, რომ D ვიტამინის ნუტრიციული დეფიციტი ბავშვებში იწვევს რაქიტს, მოზრდილ ასაკში კი ოსტეოპოროზის განვითარებას ჰიპოკალცემიის ფონზე (43,90,111,140,197). საერთაშორისოდ მიღებული კონსენსუსის საფუძველზე რაქიტის პროფილაქტიკისათვის რეკომენდებულია D ვიტამინის 400 IU დღიური დოზა ჩვილებისა და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის, ან 600 IU/დღეში მოზრდილი ასაკის ბავშვებისათვის. თუმცა ეს რეკომენდაცია სრულად არ სრულდება ბევრ ქვეყანაში (22). უპირატესად სამხრეთის განვითარებად ქვეყნებში რაქიტის ეტიოლოგიაში მნიშვნელოვანი როლი აქვს კალციუმის ნუტრიციულ დეფიციტს. 0-12 თვის ასაკის ბავშვებისათვის დღიურად მიღებული კალციუმის ადეკვატური რაოდენობაა 200-260მგ/დღეში. ასაკის ზრდასთან ერთად კალციუმის საჭირო რაოდენობა იზრდება. შესაბამისად, 12 თვის ზევით ასაკში თუ კალციუმის დღიური რაოდენობა <300მგ/დღეში, ეს დეფიციტია და მიუხედავად სისხლში D ვიტამინის დონისა, იწვევს რაქიტის განვითარებას (3,71). კლასიფიკაციის მიხედვით, 1 წელზე მეტი ასაკის ბავშვებისათვის საკვებით მიღებული კალციუმის

დღიური რაოდენობა საკმარისია >500მგ/დღეში, არასაკმარისია 300-500მგ/დღ, და დეფიციტია <300მგ/დღ. (6,197).

ბოლო წლებში მიღებული მონაცემებით აქტიურად განიხილება D3 ვიტამინის დეფიციტის გავლენა სხვა პათოლოგიური მდგომარეობების განვითარებაში, როგორებიცაა: სიმსუქნე (53,70), დიაბეტი (15,157), ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, ნეირო-დეგენერაციული დაავადებები (70), სიმსივნეები (56,108,127,132,194), აუტოიმუნური, გულსისხლძარღვთა დაავადებები (45,127,176,183), არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი (78,117), ასევე, ზოგადი სიკვდილობის მაჩვენებელზე (10,11,25,39,52,64,188). განსხვავებული მონაცემების შესახებ რამოდენიმე სტატია გამოქვეყნდა ბრიტანულ ჟურნალში BMJ (129,193), ასევე Rejnmark L.et al (162)- D ვიტამინის მრავალმხრივი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არასარწმუნოდ არის მიჩნეული, თუმცა ავტორთა უმრავლესობის მიერ რეკომენდებულია კვლევების გაგრძელება ამ მიმართულებით (177, 184). მეორეს მხრივ, მეიოს კლინიკის შრომათა კრებულში გამოქვეყნდა PubMed MEDLINE და Cochrane Database ცენტრალური რეგისტრის მონაცემების მიხედვით ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვა D ვიტამინის დეფიციტისა და მისი ძვლოვან სისტემაზე მოქმედებისაგან განსხვავებული ფუნქციების შესახებ. აღინიშნა D ჰიპოვიტამინოზის კავშირი როგორც მწვავე ინფექციურ, ისე ქრონიკულ დაავადებებთან, აუტოიმუნურ, ენდოკრინულ დაავადებებთან, ასევე, მისი გავლენა ნაყოფის ეპიგენეტიკურ პროგრამირებაზე დედებში ორსულობის პერიოდში D ვიტამინის დეფიციტის შემთხვევებში (94). ეპიგენეტიკური მექანიზმი მოიცავს დნმ მეთილირებას და ჰისტონების თანამიმდევრულ ფერმენტულ მოდიფიკაციებს - მეთილირება, აცეტილირება და ფოსფორილირება. კვლევების შედეგების მიხედვით, ვიტამინი D ეპიგენეტიკური მოქმედება დაკავშირებულია ჰისტონების აცეტილირებასთან რეცეპტორის საშუალებით (VDR). ასევე, გამოქვეყნებულია მონაცემები, რომ 1,25-D<sub>3</sub> შეუძლია დნმ დემეთილირებაც (ფრონტ.2014).

უკანასკნელი წლების მონაცემებით, სისხლში 25(OH)D -ს დაბალი მაჩვენებელი უკავშირდება ასთმის გამწვავებით ჰოსპიტალიზაციის და სტეროიდებით ორალური მკურნალობის უფრო მაღალ სიხშირეს (125). ჩატარებული კლინიკური კვლევების შედეგების მეტაანალიზმა აჩვენა D

ვიტამინით ფორტიფიკაციის შემთხვევებში ასთმის გამწვავებების სტატისტიკურად სარწმუნოდ შემცირება კონტროლთან შედარებით (14, 30 60,103,195), ასევე ექსპერიმენტში ვირთაგვებზე (203). ანთების საწინააღმდეგო და იმუნომოდულატორული მოქმედებების გათვალისწინებით D ვიტამინის დადებითი გავლენა განიხილება არაკონტროლირებადი ასთმისა და ევზემის მართვაში, ასევე, ვირუსული ინფექციით გამოწვეული რეკურენტული ვიზინგის დროს ბავშვებში (50,55,120,).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, D ვიტამინის კონცენტრაცია სისხლში მნიშვნელოვანია მთელი რიგი დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების როგორც პრევენციისათვის სიცოცხლის ყველა ეტაპზე, ასევე დაავადების პროგნოზისათვის განსაკუთრებით ორსულობის, ახალშობილობის, ჩვილობისა და მოზარდობის ასაკში.

## **2.5. D3 ვიტამინის დეფიციტი და ინფექციური დაავადებები**

ლიტერატურულ წყაროებში ბევრი მონაცემია D3 ვიტამინის დეფიციტის კავშირის შესახებ ინფექციებით (სეფსისი), განსაკუთრებით, რესპირაციული ინფექციებით მაღალ ავადობასთან და დაავადების სიმძიმესთან (1,2,10,30,74,95,100,199,206,207 ). Christopher et al. (2016) მონაცემებით, კრიტიკულად მძიმე პაციენტები საჭიროებენ ვიტამინი D მაღალ დოზებს, ვინაიდან სტრესულ სიტუაციაში გამომუშავებული კორტიზოლის მაღალი დონე ამცირებს ღვიძლსა და თირკმელში ვიტამინი D ჰიდროქსილირების პროცესს. ასევე, მწვავე ავადმყოფობის დროს მცირდება მოცირკულირე D ვიტამინის შემაკავშირებელი ცილის (DBP) რაოდენობა. უკანასკნელ წლებში ჩატარებული რანდომიზირებული კლინიკური კვლევების შედეგების სისტემატური მეტაანალიზი ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებს იძლევა. რიგი შრომების მიხედვით (107,116,133), სისხლში D3 ვიტამინის დონე გავლენას არ ახდენს ინფექციური პროცესის მიმდინარეობასა და სიმძიმეზე და ამ თემაზე ჩატარებული კვლევების რაოდენობა და სტატისტიკური შედეგები არასარწმუნოა, მეორეს მხრივ, სისხლში D3 ვიტამინის დაბალი დონე უკავშირდება მაღალ ავადობას და შესაბამისად, ამ ვიტამინის საკმარისი დონით შენარჩუნება ხელს უწყობს ვირუსული და ბაქტერიული გენეზის ინფექციებით ავადობის შემცირებას

(76,100,192,200,210). Martineu et al (128,129,130), მიერ ჩატარებული რანდომიზირებული კლინიკური კვლევების მეტაანალიზის მიხედვით, D ვიტამინის დეფიციტის (<30ნგ/მლ) დროს უფრო მაღალი იყო ზემო სასუნთქი გზების ინფექციებით ავადობა, ვიდრე D3 ვიტამინის საკმარისი რაოდენობის შემთხვევებში. ასეთივე მონაცემები ქვეყნდება სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კლინიკური კვლევების ანალიზის საფუძველზე (30,131, 206,210)

უხვია პუბლიკაციები D3 ვიტამინით ფორტიფიკაციის დადებითი როლის შესახებ რესპირაციული ინფექციებით ავადობის შემცირებისათვის ნებისმიერ ასაკში, განსაკუთრებით ადრეული ასაკის ბავშვებში (46,80,101,102,104,105,213). ჩატარებული კლინიკური კვლევების საფუძველზე მკვლევარების მიერ გამოვლენილ იქნა ახალშობილთა სეფსისით და რესპირაციული ინფექციებით ავადობის უფრო მაღალი სიხშირე ახალშობილებსა და ჩვილებში, დედებში ორსულობის პერიოდში D ჰიპოვიტამინოზის შემთხვევებში (92,93,106,175), ორსულების და მეძუძური დედების D ვიტამინით ფორტიფიკაციის დადებითი გავლენა რესპირაციული ინფექციის პრევენციისათვის ჩვილ ბავშვებში (139,198). Vo P. და თანაავტორების მიერ შესწავლილ იქნა 25(OH)D კონცენტრაცია ამერიკელ ჩვილებში ბრონქიოლიტით ჰოსპიტალიზაციის დროს და მიღებულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია D ვიტამინის დონეს <20ნგ/მლ და ბრონქიოლიტის მძიმე მიმდინარეობას შორის რესპირატორული დისტრეს სინდრომით (202). სხვა წყაროების მიხედვით, D3 ვიტამინის დეფიციტის გავლენის შესახებ ინფექციებით ავადობაზე მიღებული მონაცემები არ არის სარწმუნო და საჭიროებს კვლევების გაგრძელებას (21,74,86,119). შესაბამისად, ავტორთა მიერ რეკომენდებულია კვლევის გაგრძელება და გაფართოება, თუმცა მოუწოდებენ D ვიტამინით ფორტიფიცირებული საკვების გამოყენებისაკენ ინფექციების მკურნალობისას.

Bergman P. და თანაავტორების მიერ (2013) ჩატარებულ იქნა სისტემური მიმოხილვა და მეტაანალიზი ვიტამინი D პროფილაქტიკური დოზის გავლენის შესახებ რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირეზე. დამუშავებულ იქნა 11 კლინიკური კვლევის შედეგები 5660 ინდივიდის ჩართვით. დასკვნის სახით, გამოითქვა მოსაზრება, რომ ვიტამინი D პროფილაქტიკური მიღება ამცირებს რესპირაციული ინფექციებით ავადობის რისკს. უფრო მოგვიანებით Martineau და

თანავტორებმა (129) გამოაქვეყნეს 25 კლინიკური კვლევის სისტემური მიმოხილვა და მეტანალიზი. კვლევაში ჩართული იყო 10 933 მონაწილე. კვლევა ჩატარდა 14 ქვეყანაში. 25 კვლევიდან 19 -ში ასევე შეფასებულ იქნა 25(OH)-VD-ს საბაზისო დონე. ვიტამინი D კვლევაში ჩართულ პირებს ეძლეოდათ სხვადასხვა პროტოკოლის მიხედვით - ბოლუს დოზა თვეში ან 3 თვეში ერთჯერ, კვირაში ერთჯერ, ყოველდღიურად, ბოლუს და ყოველდღიური დოზირების კომბინაცია. მაღალი სარწმუნოებით გამოვლინდა, რომ D ვიტამინის პროფილაქტიკური დოზა ამცირებს რესპირაციული ინფექციების ეპიზოდებს. ასევე, ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ D ვიტამინის დღიური ან ყოველკვირეული მიღება უკეთესია ავადობის შემცირების მხრივ, ვიდრე ბოლუს დოზები. დამცველობითი ეფექტი მეტად გამოვლინდა პირებში D ვიტამინის დეფიციტით (10,20,). განსხვავებულია ავტორთა ჯგუფის (Bischoff-Ferrari HA et al.,2016) კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც თვეში ერთჯერ D ვიტამინის ბოლუს დოზა ეფექტურია D ჰიპოვიტამინოზის პრევენციისათვის (19).

ურთიერთსაწინააღმდეგოა ლიტერატურული მონაცემები D ვიტამინის დეფიციტის გავლენის შესახებ ქვემო სასუნთქი გზებისა და პნევმონიის მიმდინარეობის ხანგრძლივობასა და სიმძიმეზე (82,189), ანთება ან ინფექციური პროცესები ცვლის თუ არა ვიტამინი D კონცენტრაციას სისხლში (208), რა გავლენა აქვს D ვიტამინით ფორტიფიკაციას და ჰიპოვიტამინოზის პრევენციას რეკურენტული პნევმონიის პათოგენეზში (182). Haugen et al (2017) ავტორთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სისხლში 25(OH)D კონცენტრაცია იცვლება თუ არა ინფექციის დროს და ანთებითი მარკერების დონე დამოკიდებული იყო თუ არა 25(OH)D -ს კონცენტრაციაზე. კვლევაში ჩართული იყო 2-35 თვის ბავშვები დადასტურებული საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიით. მძიმე პნევმონია დიაგნოსტირებული იყო 43 შემთხვევაში, არა-მძიმე - 387 შემთხვევაში. ანთებითი მარკერები - ციტოკინები, ქემოკინები და ზრდის ფაქტორები პლაზმაში განსაზღვრულ იქნა დაავადების მწვავე ფაზაში და დაავადების მე-14, 45-ე და 90-ე დღეს. მონაცემები დამუშავებულ იქნა მრავლობითი ცვლადების რეგრესიული მეთოდით. ანთების არც ერთი მარკერი არ იყო დამოკიდებული 25(OH)D - ს კონცენტრაციაზე და 25(OH)D არ იცვლებოდა დღეების მიხედვით. 25(OH)D -ს კონცენტრაცია დამოკიდებული იყო მეტად ბავშვის ასაკზე, ვიდრე დაავადების



სიმძიმეზე. ამავე წელს გამოქვეყნებულ მეორე შრომაში Haugen J et al (2017) ავტორთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიის დროს ნეპალელ ბავშვებში ვიტამინი D დეფიციტის გავლენა მკურნალობის ეფექტურობასა და ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობაზე. მიღებული შედეგების მიხედვით, D ვიტამინის დეფიციტის (<50ნმოლ/ლ) დროს სარწმუნოდ მეტი იყო ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა და ნაკლები მკურნალობის ეფექტურობა (კლინიკური ნიშნების გაუმჯობესება არ ვლინდებოდა მკურნალობიდან 96სთ-ის შემდეგ და მეტი იყო ალტერნატიული მკურნალობის საჭიროების რისკი). უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ მძიმე და გართულებული პნევმონიების შემთხვევებში სარწმუნოდ დაბალია პაციენტთა სისხლში D ვიტამინის კონცენტრაცია კონტროლთან შედარებით (17,18,100). ავტორთა ჯგუფის მიერ Zhou et al (2019) ჩატარდა PubMed, Medline, and EMBASE - ში მოძიებული ლიტერატურული წყაროების სისტემური კვლევა და შედეგების მეტაანალიზი. შრომის მიზანი იყო რაოდენობრივად შეეჯამებინათ ვიტამინი D ასოციაცია საზოგადოებაში შეძენილ პნევმონიასთან. საძიებო სიტყვები იყო „ვიტამინი D“, „ქოლეკალციფეროლი“, „25(OH)D“ და საზოგადოებაში შეძენილი პნევმონია“, „საზოგადოებაში შეძენილი პნევმონია“. მეტაანალიზი ჩატარდა ეპიდემიოლოგიაში მიმოხილვითი კვლევების მეტაანალიზის ჩატარების მოწოდებული მეთოდოლოგიის მიხედვით. შესწავლილ იქნა 8 კვლევა 20 966 მონაწილით. მოცემული მეტაანალიზის მიხედვით, პაციენტებში D ვიტამინის დეფიციტით (25(OH)D შემცველობა <20ნგ/მლ) მაღალი სარწმუნოებით, მნიშვნელოვნად მაღალი იყო საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიით დაავადების რისკი (212). განიხილება რეკომენდაცია მკურნალობაში D ვიტამინის დამატების შესახებ (46,212). მსგავსი მონაცემები გამოქვეყნდა Pletz MW et al. (158), Talebi F. და თანაავტორების (2019) და Georgakopoulou VE (2020) და თანაავტორების მიერ (68,189), Garg et. (2021) ავტორთა ჯგუფმა შეისწავლა ინდურ პოპულაციაში 2-5 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც ჰოსპიტალიზებულ იყვნენ საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიის გამო. 25(OH)D-ს კონცენტრაცია <30 ნმოლ/ლ (<12ნგ/მლ) განისაზღვრა, როგორც დეფიციტი, 30-50ნმოლ/ლ (12-20ნგ/მლ), როგორც არასაკმარისი და >125ნმოლ/ლ (>50ნგმლ), როგორც საკმარისი. დაავადების

გამოსავალი შეფასდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით - ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა, ინტენსიური მეთვალყურეობის საჭიროება, ოქსიგენაციის საჭიროება, ანტიბიოტიკოთერაპიის ხანგრძლივობა, ალტერნატიული ანტიბიოტიკოთერაპიის საჭიროება, ანთებითი მარკერები და სხვა. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურად. შედეგების მიხედვით, D ვიტამინის დეფიციტის პირობებში სარწმუნოდ მაღალი იყო პნევმონიის სიმძიმის დამახასიათებელი მარკერები, ასევე მაღალი იყო ბაქტერიული პნევმონიის სიხშირე, ვირუსულთან შედარებით ( $p < 0.05$ ).

Oktaria V, და თანაავტორების მიერ (2021) შესწავლილ იქნა D ვიტამინის დეფიციტის გავლენა პნევმონიის მიმდინარეობის სიმძიმეზე <5 წლამდე ასაკის ინდონეზიელ ბავშვებში. ავტორთა ჯგუფის მონაცემებით, D ვიტამინის დეფიციტი (<50 ნმოლ/ლ) აღენიშნებოდა კვლევაში ჩართულ ყოველ მე-5 ბავშვს და D ვიტამინის დეფიციტი არ იყო ასოცირებული პნევმონიის სიმძიმესთან (საშიშროების ნიშნები, ჰიპოქსია, ჰოსპიტალიზაციის გახანგრძლივება). D ვიტამინის დონე უფრო ასოცირდებოდა ბავშვის ასაკთან, ნუტრიციულ სტატუსთან, დაბადების მცირე მასასთან (144,145).

ამდენად, კონსენსუსის მიღწევის მიზნით, ავტორთა უმრავლესობა მიუთითებს კვლევების გაგრძელების აუცილებლობაზე, ვინაიდან, სამწუხაროდ, პნევმონია <5 წლამდე ბავშვთა ასაკში ჯერ კიდევ რჩება სიკვდილობის უხშირეს მიზეზად.

## 2.6. პნევმონია, მისი გავრცელება, სიმძიმის კრიტერიუმები

პნევმონია ბავშვთა სიკვდილობის ყველაზე ხშირი მიზეზია მსოფლიოში. ჯანმოს მონაცემებით, პნევმონიით 2019 წელს <5 წლამდე ასაკის 740 180 ბავშვი, ანუ ამ ასაკის პოპულაციის 14% დაიღუპა, 1-5 წლამდე ასაკში კი პნევმონიით სიკვდილობამ პოპულაციის 22% შეადგინა (163). განსაკუთრებით სერიოზულია პრობლემა განვითარებადი ქვეყნებისათვის. სადაც სიკვდილობის პროცენტი კიდევ უფრო მაღალია. ჟურნალ ლანცეტში 2020 წ (112) გამოქვეყნდა ბავშვებში ქვედა სასუნთქი გზების ინფექციების მიზეზების, რისკფაქტორების, პრევენციისა და სიკვდილობის შემცირების მიზნით შექმნილი კოლაბორაციის ანგარიში, რომლის მიხედვითაც 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ყველაზე მაღალი სიკვდილობა

გამოვლინდა ინდოეთში და ნიგერიაში (<5 წლამდე ასაკში ქვედა სასუნთქი გზების ინფექციებით გლობალური სიკვდილობის 41.8%). ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა საყოველთაო იმუნიზაციას *Haemophilus influenzae* type b (Hib) და *pneumococcus* წინააღმდეგ (pneumococcal conjugate vaccine [PCV]), ბავშვთა კვების გაუმჯობესებას და სახლში დამტვერიანების შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა პოპულაციაში პნევმონიასთან დაკავშირებული სიკვდილობა 1,75 მლნ-დან შემცირდა 0.8 მლნ-მდე 2019 წელს (32,4%-ით), ჯერ კიდევ რჩება გლობალურ პრობლემად, განსაკუთრებით 5 წლამდე ასაკში (28, 67, 121, 180,205).

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, შემუშავებულია და მუდმივად განახლებადია პნევმონიის მკურნალობის და პრევენციის საერთაშორისო და რეგიონალური გაიდლაინები. შემუშავებულია პნევმონიის მკურნალობის პროტოკოლები დაავადების სიმძიმის მიხედვით. გამოქვეყნებულია ჯანმოს, ბრიტანეთის თორაკალური საზოგადოების, პედიატრიულ ინფექციურ დაავადებათა და ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოებების პნევმონიის სიმძიმის შესაფასებელი კრიტერიუმების ნუსხა, რომელთა მიხედვით პნევმონიის სიმძიმის კრიტერიუმებია: ბავშვის ასაკი, ტაქიპნოე, გულმკერდის რეტრაქცია, მასის ინდექსი და საშიშროების ნიშნები - დეჰიდრატაცია, მაღალი ცხელება, ღებინება, ტაქიკარდია, ჰიპოტონია, კონვულსიები და კომორბიდული დაავადებები (180). ლაბორატორიული მონაცემებიდან საშიშროების ნიშნებად განიხილება - ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, განსხვავებულია მონაცემები ანთებითი მარკერების -CRP და პროკალციტონინის მნიშვნელობის შესახებ დაავადების პროგნოზის განსაზღვრის მიზნით (48,205).

უკანასკნელ წლებში პნევმონიის შესაფასებლად ბავშვთა ასაკისათვის შემუშავდა PIRO-ს (predisposition, insult, response, and organ dysfunction)(7,8) მოდიფიცირებული შკალა. იგი მოწოდებულია, როგორც საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიით ჰოსპიტალიზებულ ბავშვებში სიკვდილობის რისკის მაჩვენებელი. დადგინდა, პიროს შკალას დიდი მნიშვნელობა აქვს ინტენსიურ დეპარტამენტში მკურნალობის საჭიროების განსაზღვრისა და დამატებითი სამკურნალო ღონისძიებების საჭიროების შესაფასებლად. პიროს შკალა მოიცავს:

- 1) წინასწარ განწყობას (ასაკი>ნოვე, თანმხლები ქრონიკული დაავადება);



2) დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედება (ჰიპოქსია  $SpO_2 < 93\%$ ), ჰიპოტენზია, ბაქტერიემია; 3) საპასუხო რეაქცია (მულტიწილოვანი ან გართულებული პნევმონია); 4) ორგანოთა დისფუნქცია (თირკმლის, ღვიძლის უკმარისობა, ARDS სინდრომი). თითოეული კრიტერიუმი ფასდება 1 ქულით (0-10 ქულა). შკალის მიხედვით გამოყოფილია სიკვდილობის 4 რისკ ჯგუფი: 0-2 ქულა - დაბალი რისკი, 3-4 ქულა - საშუალო რისკი; 5-6 ქულა - მაღალი რისკი; 7-10 ქულა - ძალიან მაღალი რისკი. კვლევის შედეგებმა აჩვენა სატატისტიკურად სარწმუნო დადებითი კორელაცია სიკვდილობის მაჩვენებელსა და PIRO ქულებს შორის. პიროს ქულებით უტყუარად შესაძლოა განისაზღვროს სიკვდილობის ალბათობა, ასევე ინტენსიურ დეპარტამენტში გადაყვანის ან დამხმარე სამკურნალო საშუალებების გამოყენების საჭიროება (Araya et al., 2016). მიუხედავად იმისა, რომ ადრე ჩატარებულ (Flood et al., 2008; Valent et al., 2009) CRP ცილას არ ჰქონდა საკმარისი მგრძობელობა და სპეციფიურობა რომ გამოერიცხა ან დაედასტურებინა ბაქტერიული პნევმონიის არსებობა, ბოლო კვლევებში (Alcoba et al., 2017; Agnello et al., 2016) კვლავ განიხილება მისი მნიშვნელობა პედიატრიულ პაციენტებში პნევმონიის სიმძიმისა და ეტიოლოგიის დასადგენად, ხოლო ნეონატალურ პაციენტებში (Omran et al., 2017) გვიანი ნეონატალური სეფსისის სადიაგნოსტიკოდ.

ასეთი აქტუალობისა და მაღალი სიკვდილობის მიუხედავად, გლობალურ დონეზე პნევმონია რჩება ყველაზე დაბალდაფინანსებად პრობლემად, განსაკუთრებით, პედიატრიულ ასაკში (28). 2020 წელს ჟურნალში *Lancet Infectious Diseases* გამოქვეყნდა ქვედა სასუნთქი გზების ინფექციების ირგვლივ მომუშავე მკვლევართა შეხედულებები და შეფასებები ამ ჯგუფის დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებების, სიკვდილობის და 13 შესაძლებელი პრევენციული და მამოდიფიცირებელი ფაქტორის შესახებ, შექმნილ იქნა დაავადების გლობალური დამამძიმებელი ფაქტორების მონაცემთა ბაზა (GBD) (Lancet 21,67).

## 2.7. ციტოკინების ზოგადი დახასიათება

ციტოკინები თანდაყოლილი და ადაპტაციური იმუნური სისტემის სხვადასხვა უჯრედების მიერ პროდუცირებული მცირე ზომის

გლიკოპროტეინებია, რომლებიც უჯრედებს შორის ინფორმაციას გადასცემს და იმუნური სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. იმუნომარეგულირებელი ციტოკინების ძირითადი წყარო Th1, Th2, Th17, Tregs უჯრედებია, რომლებიც ასტიმულირებენ შესაბამისი სპექტრის ციტოკინებს. ციტოკინებისთვის ასევე დამახასიათებელია პლეოტროპულობა, როცა უჯრედების სხვადასხვა ტიპს შეუძლია ერთი და იგივე ციტოკინის სეკრეცია ან როცა ერთ ციტოკინს შეუძლია ზემოქმედება რამოდენიმე სხვადასხვა ტიპის უჯრედზე. მათი ბიოლოგიური ეფექტების და სტრუქტურის მიხედვით ციტოკინები კლასიფიცირებულია 6 ძირითად ოჯახად: ინტელეიკინები (IL), ქემოკინები, ინტერფერონები (INF), სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი (TNF), კოლონია მასტიმულირებელი და მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი (TGF-β). კლინიკური მოქმედების მიხედვით ციტოკინები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად: პრო-ანთებითი (IL-1β, IL-1α, IL-6, IL-8, IL-17, MIP-1 and TNF-α, და სხვა) და ანტი-ანთებითი ციტოკინები (IL-4, IL-10, and TGF-β). მნიშვნელოვანია, რომ კლასიფიცირების მიუხედავად, მრავალი ციტოკინი სხვადასხვა (იმუნოლოგიური და კლინიკური) ფაქტორების ზემოქმედებით ავლენს ორმაგ ფუნქციას (110,134).

ინტერლეიკინები ძირითადად ლეიკოციტების მიერ სინთეზირდება, თუმცა ისინი შესაძლოა არაიმუნური უჯრედების მიერაც წარმოიქმნას, როგორცაა ფიბრობლასტები, ეპითელური უჯრედები, კერატინოციტები და სხვა. ისინი ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს. მაგალითად, IL-1 და IL-2 პირველ რიგში პასუხისმგებელია T და B უჯრედების აქტივაციაზე, IL-2 ასტიმულირებს T და B უჯრედების ზრდასა და მომწიფებას, IL- 24, IL-1, IL 6 ანთების მედიატორებია, მაშინ როდესაც IL 12 ასტიმულირებს ნატურალური კილერების (NK) და ციტოტოქსიური CD8-T-უჯრედების პროდუქციას (4,5,12,79,110).

IL-10 მნიშვნელოვანი ანტი-ანთებითი ციტოკინია, რომელიც აინჰიბირებს პროანთებითი ციტოკინების სინთეზს და თრგუნავს ანტიგენის წარმოქმნას. იგი ძირითადად მონოციტების, მაკროფაგების, დენდრიტული უჯრედების, ნაკლებად T ლიმფოციტების მიერ სინთეზირდება. IL-10 დენდრიტულ უჯრედებზე ზემოქმედებით თრგუნავს ანტიგენ-წარმომქმნელ ფუნქციას, ხელს უშლის დენდრიტული უჯრედების მომწიფებას, T უჯრედების პროლიფერაციას, თრგუნავს პრო-ანთებით ციტოკინებს (IL-6, TNF-α სეკრეციას). IL-10

მნიშვნელოვანია ანთებითი და ჰუმორული პასუხის ბალანსის შესანარჩუნებლად. ამასთან, IL-10 ასტიმულირებს B უჯრედების პროლიფერაციასა და ანტისხეულების პროდუქციას. ბოლო წლების მონაცემებით, IL-10 პროდუქცია არის წარმატებული იმუნური პასუხი ბაქტერიულ ინფექციაზე და მისი მოქმედება დამოკიდებულია ინფექციურ აგენტზე - ბაქტერია არის ექსტრა- თუ ინტრაცელულარული და აქვს თუ არა რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ (Peñaloza et al., 2016). როგორც გამოვლინდა, მას ორმაგი მოქმედება აქვს და IL-10 პროდუქცია სასარგებლოა თუ არა ორგანიზმის გამოჯანმრთლებისათვის დამოკიდებულია პათოგენზე და ორგანიზმის იმუნურ პასუხზე (154). ავტორთა ჯგუფის Peñaloza et al., (2016) მიერ დადასტურდა, რომ თუ ინფექცია გამოწვეულია ექსტრაცელულარული და მაღალი პროანთებითი რეაქციის გამომწვევი ბაქტერიების მიერ, მაგ.: *Streptococcus pneumoniae*, *Pseudomonas aeruginosa*, *Francisella tularensis*, *Escherichia coli*, and *Mycobacterium tuberculosis*, IL-10 - ის პროდუქცია აუცილებელია ორგანიზმის გამოჯანმრთლებისათვის. მეორე მხრივ, IL-10 პროდუქცია თრგუნავს გამოჯანმრთლების პროცესს და ხელს უწყობს ინფექციის პერსისტირებას, თუ ინფექცია გამოწვეულია ინტრაცელულარული ბაქტერიებით, მაგ. *Klebsiella pneumoniae*, *Bordetella pertussis*, *Listeria monocytogenes*, *Brucella abortus* and *Salmonella enterica* serovar Typhimurium (154).

## 2.8. ციტოკინები, როგორც პნევმონიის სიმძიმის ბიომარკერები

პნევმონიის დროს სისხლში ჩვეულებრივ, მომატებულია პრო-ანთებითი (IL-1b, IL-6, TNF-a, IL-8) და ანტი-ანთებითი (IL-10, INF- $\gamma$ ) ციტოკინები (5,79,134). სხვადასხვა კვლევებში პნევმონიის სიმძიმის პროგნოზულ მარკერად სხვადასხვა ციტოკინი განიხილება: ასე მაგალითად, Bacci და თანაავტორების მიერ (2015) ჩატარებულ კვლევაში დადგინდა, რომ TNF- $\alpha$  და IL-6 საშუალო დონე მნიშვნელოვნად მაღალია გართულებული პნევმონიის დროს, ფილტვის მექანიკური ვენტილაციის, ინტენსიურ დეპარტამენტში მართვის საჭიროებისას. ისინი, ასევე, წარმოადგენენ პნევმონიის დროს ადრეული სიკვდილის პრედიქტორებს (12).

IL-10 პროდუქცია იწყება ნეიტროფილებში ფილტვების ანთების პირველ 48სთ-ში და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პათოლოგიური პროცესის უკუგანვითარებისათვის *S. Pneumoniae*, ან სხვა ექსტრაცელულარული ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციის დროს (154). ავტორთა ჯგუფის - Peñaloza H, et al., (2016) ვირთხებზე ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ვირთხებში IL-10(-/-) დეფიციტის დროს იზრდება სიკვდილობა, პროანთებითი ციტოკინების პროდუქცია, ფილტვის ქსოვილის ნეიტროფილებით ინფილტრაცია (154).

სხვა კვლევაში (de Brito et al ., 2016) დადასტურდა ასევე IL-6/IL-10 თანაფარდობის მნიშვნელობა პნევმონიის სიმძიმისა და ლეტალური გამოსავლის შესაფასებლად (47). ავტორთა მიერ დადგენილ იქნა კორელაცია შრატის ციტოკინების პროფილსა (შესწავლილ იქნა 11 ციტოკინი) და პნევმონიის სიმძიმეს შორის. IL-6 მაღალი იყო ყველა სახის პნევმონიის დროს, განსაკუთრებით, მძიმე პნევმონიის დროს ღებინებით, მაღალი ლეიკოციტოზითა და დისპნოეს ნიშნებით. IL-10 დონეც მაღალი იყო პნევმონიის დროს და ასოცირებული იყო ლიმფოციტოზთან. ავტორთა დასკვნით, IL-6/IL-10 მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს მძიმე პნევმონიას და მისი საშუალებით შესაძლებელია დაავადების გამოსავლის პროგნოზირება.

## **2.9. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული კორონავირუსული დაავადება (COVID 19) და ვიტამინი D**

2020 წლის განმავლობაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული კორონავირუსული დაავადების (COVID 19) პანდემიის პერიოდში გამოჩნდა პუბლიკაციები, სადაც კლინიკური კვლევებით დადასტურებულია D ვიტამინის დეფიციტის გავლენა კორონავირუსული პნევმონიის სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე (115,204), მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომის განვითარებაზე (36,51,160,214). მათი მონაცემებით, დაავადების მართვაში კალციტრიოლის ჩართვა ამცირებს ინტენსიური მკურნალობის საჭიროებას კოვიდ-პნევმონიის დროს D ვიტამინის რეცეპტორის (VDR) აქტივაციის საშუალებით. ის ამცირებს ციტოკინურ/ქემოკინურ შტორმს, ასტიმულირებს ნეიტროფილების აქტივობას, გარკვეულად გავლენას ახდენს მომატებულ

კოაგულაციურ პროცესებზე (54). ბოლო თვეებში ჩატარებული კვლევების შედეგად დაგროვილი მონაცემების საფუძველზე D3 ვიტამინი შეტანილია კოვიდ-პნევმონიის მართვის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ გაიდლაინებში (21).

ამგვარად, გამოქვეყნებული ლიტერატურული მონაცემები ავლენს ვიტამინი D-ს მრავალმხრივ გავლენას ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მის მონაწილეობას ინფექციური დაავადებების პრევენციისა და მიმდინარეობის სიმძიმეზე თანდაყოლილი და შეძენილი იმუნური პასუხის მოდულირების გზით. მაღალი სარწმუნოებით დადასტურდა, რომ ვიტამინი D მიღება ამცირებს მწვავე რესპირაციული ინფექციებით ავადობას, განსაკუთრებით, D ვიტამინის დეფიციტის დროს. ასევე, დადასტურებულია D ვიტამინის როლი ასთმის დროს. რაც შეეხება ტუბერკულოზურ ინფექციას, მონაცემები განსხვავებულია, თუმცა რამოდენიმე კვლევაში გამოვლინდა კავშირი D ვიტამინის დეფიციტსა და მწვავე ტუბერკულოზურ ინფექციას შორის. ჯერჯერობით, არ გამოქვეყნებულა მონაცემები D ვიტამინის დადებითი როლის შესახებ ინფექციური დაავადებების დროს პირებში ვიტამინი D-ს ნორმალური შემცველობით. გამოქვეყნებული სისტემური და მეტანალიზის საფუძველზე ავტორთა უმეტესობა მიუთითებს ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელების საჭიროებაზე მეტად სარწმუნო შედეგების მიღების მიზნით.

### თავი 3. მასალა და კვლევის მეთოდები, სტატისტიკური ანალიზი

#### მასალა და კვლევის მეთოდები

რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირესა და D ვიტამინის შემცველობის ურთიერთკავშირის გამოსავლენად ჩატარებულ იქნა რეტროსპექტული და პროსპექტული მიმოხილვითი კვლევა. შესწავლილ იქნა 3 თვიდან 15 წლის ასაკის 277 ბავშვი რუსთავისა და თბილისის თსსუ გ. ჟვანიას პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში და ამბულატორიულ დაწესებულებებში, რომლებმაც მომართეს სამკურნალო დაწესებულებებს რესპირაციული ინფექციის გამო 2019-2021 წლების განმავლობაში. შერჩეულ იქნა ანამნეზში რესპირაციული ინფექციებით ხშირად მოავადე პაციენტები, ასევე, რაქიტის გამოხატული ნიშნების მქონე და ბავშვები მშობლების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. შექმნილ იქნა 2 კოჰორტა - I-კოჰორტაში შეყვანილ იყო რესპირაციული ინფექციებით ხშირად მოავადე, ან რაქიტის გამოხატული ნიშნების მქონე 147 პაციენტი, 130 ბავშვი ჩართულ იქნა საკონტროლო ჯგუფში (II კოჰორტა) ვიზიტისას მათ არ აღენიშნებოდათ რესპირაციული ინფექცია, რაიმე ქრონიკული ან ენდოკრინული დაავადება. ასაკის მიხედვით გამოიყო 3 ჯგუფი - 131 ბავშვი 3 თვიდან 5 წლამდე (I ჯგუფი - I კოჰორტა 68 ბავშვი, II კოჰორტა 63 ბავშვი), 100 ბავშვი - 5 წ +1 თვე 10 წლამდე (II ჯგუფი -I კოჰორტა 50 ბავშვი და II კოჰორტა 50 ბავშვი) და 46 მოზარდი 10წ+ 1 თვე - 15წწ (III ჯგუფი - I კოჰორტა 29 ბავშვი, II კოჰორტა 17 ბავშვი). სამკურნალო /დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში შემოსვლისას ერთჯერადად ხდებოდა ვიტამინი D3 - 25(OH)D კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის შრატში იმუნოფერმენტული მეთოდით. მიღებული კონსენსუსის მიხედვით [5], ვიტამინი D3 კონცენტრაცია - <50 ნმოლ/ლ, ან <20 ნგ/მლ განისაზღვრა როგორც ვიტამინის დეფიციტი, 25(OH)D-ს კონცენტრაცია 50–70 ნმოლ/ლ, ან 20–30 ნგ/მლ, როგორც უკმარისობა და კონცენტრაცია - >70 ნმოლ/ლ 250 ნმოლ/ლ-მდე, ან 30 ნგ/მლ-100 ნგ/მლ-მდე განისაზღვრა როგორც საკმარისი.

პაციენტთა მონაცემების მიხედვით შექმნილი იყო ინდივიდუალური ანკეტა. ანკეტაში შეტანილ იქნა პაციენტის ასაკი, დიეტა, ძუძუთი კვების ხანგრძლივობა, იღებდა თუ არა ვიტამინი D3 პროფილაქტიკურ დოზას,



გამოვლენილი ჰქონდა თუ არა მანამდე D ჰიპოვიტამინოზი, ოჯახური ანამნეზი ქრონიკულ დაავადებებზე, ალერგიული დატვირთვა, რესპირაციული ინფექციებით წლიური ავადობის სიხშირე. კვლევის შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით SPSS 18 (SPSS INC., CHICAGO, IL, USA)-ით. დადგენილ იქნა კორელაციები D ვიტამინის კონცენტრაციასა და სიდიდეებისათვის: ავადობა ზ.ს.გზების ინფექციებით, პრონქიოლიტი, პნევმონიით. გამოთვლილ იქნა საშუალო სიდიდე (MEAN) საშუალო სიდიდის სტანდარტული ცდომილება (SE), სტანდარტული გადახრა (SD), მედიანა (MEDIAN), მაქსიმუმი და მინიმუმი. სარწმუნოების კოეფიციენტი -  $p < 0.05$ .

სისხლში ვიტამინი D3 შემცველობის კორელაციის გამოსავლენად საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიის მიმდინარეობის სიმძიმეზე, ჩატარდა პროსპექტული მიმოხილვითი კვლევა. შერჩეულ იქნა 17 წლამდე ასაკის 97 პაციენტი, რომლებიც მკურნალობდნენ თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ აკადემიურ კლინიკაში (48 პაციენტი) და ქ. რუსთავში შპს კლინიკა „რუსთავი“ (49 პაციენტი) საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიის დიაგნოზით 2020-2021 წლებში კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები – დადასტურებული საზოგადოებაში შეძენილი პნევმონია (ჯანმოს კლასიფიკაციის მიხედვით), უარყოფითი მწვავე SARS-2-COV - ინფექცია, მშობლების ინფორმირებული თანხმობა კვლევაში ჩართვის შესახებ. ინფორმაცია დაავადების ანამნეზის, პაციენტის კლინიკური სტატუსის, ლაბორატორული და ინსტრუმენტული კვლევების შედეგების შესახებ მოპოვებულ იქნა პაციენტის სტაციონარული სამედიცინო ბარათიდან მკურნალ ექიმთან შეთანხმებით. შეფასებულ იყო პაციენტების მასა, სიგრძე, ვიტალური მაჩვენებლები, ჟანგბადით სატურაციის პროცენტი, ფიზიკალური გასინჯვის მონაცემები. კლინიკაში შემოსვლისას ერთჯერადად ხდებოდა ვიტამინი D3 - (25(OH)D) კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის შრატში იმუნოფერმენტული მეთოდით.

I ჯგუფი ფორმირებულ იყო 18 პნევმონიით დაავადებული პაციენტით, რომელთაც გამოუვლინდათ D ვიტამინის დეფიციტი, 43 პაციენტს ჰქონდა D ვიტამინის უკმარისობა, 36 პნევმონიით დაავადებულმა პაციენტმა შექმნა საკონტროლო ჯგუფი. მათ სისხლში გამოუვლინდათ D ვიტამინის საკმარისი რაოდენობა. ასაკის მიხედვით გამოიყო 2 ჯგუფი – პაციენტები 5 წლამდე და 5-17

წლამდე. პნევმონიის სიმძიმის შეფასება ხდებოდა ჯანმოს მიერ შემუშავებული პარამეტრების მიხედვით – ასაკი, მასა, სუნთქვის უკმარისობის ნიშნები, ანთებითი მარკერები, ალტერნატიული მკურნალობის საჭიროება, კომორბიდული დაავადებები (48,163). ციტოკინური პროფილის განსაზღვრისათვის ჩატარდა IL-6 და IL-10 განისაზღვრა 2-ჯერ - შემოსვლის პირველ 24 სთ-ში და ჰოსპიტალიზაციის მე-5 დღეს იმუნოფერმენტული მეთოდით ELISA. ციტოკინური პროფილი შესწავლილ იქნა 41 პნევმონიით დაავადებული 5-17 წწ ასაკის ბავშვების სისხლში, რომლებიც მკურნალობდნენ თბილისში თსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. პაციენტები სისხლში ვიტამინი D3 - (25(OH)D) კონცენტრაციის მიხედვით დანაწილებულნი იყვნენ 3 ჯგუფად. D3 ვიტამინის დეფიციტი (I ჯგუფი - 11 პაციენტი), 25(OH)D-ს D3 უკმარისობა (II ჯგუფი - 12 პაციენტი) და D3 საკმარისი რაოდენობით - III ჯგუფი - 18 პაციენტი. ჯანმრთელი პოპულაციისათვის ნორმატიულ მაჩვენებლად მიღებულია IL-6  $2.6 \pm 0.3$  პგ/მლ, IL-10  $2.3 \pm 1.5$  პგ/მლ (47, 146).

D3 ფუნქციებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მისი გავლენის შესახებ მოსახლეობის (მშობლების, მოზარდების) ცნობადობის გამოვლენის მიზნით ჩვენს მიერ შექმნილ იქნა კითხვარი. მიღებული პასუხების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეფასდა მოსახლეობის ინფორმირებულობა მოცემულ საკითხზე. გამოკითხულ იქნა 850 რესპოდენტი (იხ.: დანართი).

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები:

- მშობლების ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე;
- ასაკი 3 თვიდან 17 წლამდე;
- ანამნეზში ქრონიკული, გასტროინტესტინური (აბსორბციისა და მონელების პრობლემები), ენდოკრინული პათოლოგიის არ არსებობა;
- რესპირაციული ინფექციის არსებობა ვიზიტისას, გამოხატული რაქიტის ნიშნებით ან მის გარეშე;
- 3 თვიდან 17 წლამდე ასაკის ჯანმრთელი მონაწილე საკონტროლო ჯგუფისათვის.



კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმები:

- მშობლების უარი კვლევაში მონაწილეობაზე;
- ასაკი <3 თვეზე და >17 წელზე;
- ქრონიკული დაავადება

### სტატისტიკური ანალიზი

კვლევის შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით SPSS 18 (SPSS INC., CHICAGO, IL, USA) -ით. დადგენილ იქნა კორელაციები D ვიტამინის კონცენტრაციასა და სხვადასხვა კლინიკურ პარამეტრს შორის, სიდიდეებისთვის: IL-6, IL-10, IL6/IL10. საწოდებების რაოდენობა, პნევმონიის ეპიზოდები გამოთვლილ იქნა საშუალო სიდიდე (MEAN) საშუალო სიდიდის სტანდარტული ცდომილება (SE), სტანდარტული გადახრა (SD), მედიანა (MEDIAN), მაქსიმუმი და მინიმუმი. პარამეტრებისათვის – აღენიშნებოდა თუ არა ტაქიპნოე, ცხელება, ტაქიკარდია, რდს, ლეიკოციტოზი, ალტერნატიული მკურნალობის საჭიროება – დათვლილ იქნა სიხშირე და პროცენტული მაჩვენებლები. სკალარული სიდიდეების შედარებისას 3 საკვლევ ჯგუფში გამოყენებულ იყო კრუსკელ-უოლისის (KRUSKAL-WALLIS) არაპარამეტრული ტესტი, ხოლო იგივე სიდიდეების შედარებისას ორი ჯგუფისათვის (D ვიტამინის დეფიციტი და ნორმა) გამოყენებულ იყო მან-უიტნის (MANN-WHITNEY) არაპარამეტრული ტესტი. ნომინალური და ორდინალური სიდიდეების შედარებისას გამოყენებულ იყო პირსონის ხი-კვადრატ (PEARSON CHI-SQUARE) ტესტი. სტატისტიკურად სარწმუნოდ მიღებულია  $p < 0.05$ .


კითხვარის შედეგების აღწერილობითი სტატისტიკისათვის გამოყენებულ იქნა Microsoft Excel. გამოთვლილი იყო საშუალო და პროცენტული მაჩვენებლები, შექმნილი იყო შესაბამისი ცხრილები.

## თავი 4. კვლევის შედეგები

### 4.1. სისხლში D ვიტამინის შემცველობის გავლენა რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირეზე

ჩატარებული კვლევის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე D ვიტამინის დეფიციტი არ იყო კორელაციაში ბავშვების სქესთან. ასოციაცია D ვიტამინსა და სქეს შორის Pearson Chi-Square ტესტის მიხედვით არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P>0.05$

დიაგრამა 1.




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირეზე სისხლში D3 ვიტამინის დონის გავლენის შესწავლის მიზნით შერჩეულ იქნა 3 თვიდან 15 წლამდე ასაკის 277 ბავშვი, აქედან 147 - რესპირაციული ინფექციებით ხშირად მოავადე, ასევე, გამოხატული რაქიტის ნიშნებით, ან ანამნეზში სისხლში დაბალი D ვიტამინის მაჩვენებლით და 130 - ბავშვი პრაქტიკულად ჯანმრთელი, ანამნეზში რესპირაციული ინფექციების ერთეული ეპიზოდებით წლის განმავლობაში. საკონტროლო ჯგუფის ბავშვები ამბულატორულ დაწესებულებაში მომართვისას არ იყვნენ ავად მწვავე რესპირაციული ინფექციით. საკვლევ ჯგუფში ჩართვის კრიტერიუმები იყო - მშობლების ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე, ხშირი ავადობა რესპირაციული ინფექციებით წლის

განმავლობაში (ჯანმოს კრიტერიუმებით), ასაკი 3 თვიდან 15 წლამდე, გამოხატული რაქიტის ნიშნები. შერჩეული კონტიგენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება რეტროსპექტრულად ხდებოდა ამბულატორიული ან სტაციონარული ბარათისა და მშობლების საშუალებით.

I ასაკობრივ ჯგუფში (ბავშვები 3 თვიდან - 5 წლამდე) რომელმაც შეადგინა I კოჰორტის (ძირითადი საკვლევი ჯგუფი) 46% - შევიდა 32 ბრონქიოლიტის, 18 - ზემო სასუნთქი გზების ინფექციის და 18 პნევმონიის შემთხვევა. II ასაკობრივ ჯგუფში (ბავშვები 5-10 წწ) - I კოჰორტის 34% - ჩართული იყო 16 ზემო სასუნთქი გზების ინფექციის, 15 ბრონქიტის და 19 პნევმონიის შემთხვევა. III ასაკობრივი ჯგუფი (ბავშვები 10-15 წწ) I კოჰორტის 20%, შედგენილ იქნა 9 პნევმონიის, 10 მწვავე ბრონქიტის და 10 ზემო სასუნთქი გზების მწვავე ინფექციის შემთხვევა. ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები I ასაკობრივ ჯგუფში 92,9%, II ასაკობრივ ჯგუფში 76.2%, და III ასაკობრივ ჯგუფში - 31.8%. სულ 147 შესწავლილი შემთხვევიდან ზემო სასუნთქი გზების ინფექციის იყო 44 შემთხვევა, ბრონქიოლიტის - 32, მწვავე ბრონქიტის - 25 და პნევმონიის - 46 შემთხვევა (იხ.: დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. რესპირატორული ინფექციებით მოავადე ბავშვების გადანაწილება ასაკის მიხედვით.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


როგორც ძირითადი, ისე საკონტროლო ჯგუფის ბავშვების სისხლში ერთჯერადად მოხდა 25(OH)D -ს გამოკვლევა იმუნოფერმენტული მეთოდით.

სტატისტიკური ანალიზისათვის შესწავლილ იქნა საშუალო მაჩვენებელი (Mean), საშუალო სტანდარტული გადახრა (SE). სიდიდეების შედარებისას სტატისტიკურად სარწმუნოდ ჩაითვალა-  $p,0,05$ .

I კოჰორტის I ასაკობრივ ჯგუფში რესპირაციული ინფექციებით ხშირი ავადობით, 25(OH)D - საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა  $14.47 \pm 5,44$  ნგ/მლ, ხოლო II კოჰორტის (საკონტროლო) ამავე ასაკობრივ ჯგუფში -  $35,54$ ნგ/მლ  $\pm 8,66$ . II ასაკობრივ ჯგუფში რესპირაციული ინფექციებით - 25(OH)D - საშუალო მაჩვენებელი იყო  $12.43 \pm 5,27$ ნგ/მლ ხოლო საკონტროლო ამავე ასაკობრივ ჯგუფში -  $27,71 \pm 18,29$  ნგ/მლ. III ასაკობრივ ჯგუფში რესპირაციული ინფექციებით - 25(OH)D - საშუალო მაჩვენებელი იყო -  $14,39 \pm 4,60$ ნგ/მლ, საკონტროლო ჯგუფის ბავშვების სისხლში კი -  $28,31 \pm 12,59$ ნგ/მლ. მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე 25(OH)D -სისხლში შემცველობის მხრივ I და II კოჰორტის შედარების საფუძველზე Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება გამოვლინდა  $p < 0.05$ .

**დიაგრამა 3. I, II, III - ასაკობრივი ჯგუფები.**

ფერების მიხედვით - ლურჯი ბოძი I კოჰორტა (რესპირატორული ინფექციებით),



ნარინჯისფერი II კოჰორტა (საკონტროლო ჯგუფი).

I ჯგუფი


II ჯგუფი

III ჯგუფი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სისხლში D3 შემცველობის მიხედვით საკონტროლო ჯგუფის ბავშვების ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას გამოვლინდა, რომ მხოლოდ 5 წლამდე ასაკის ჯანმრთელ ბავშვებს აქვთ სისხლში D3 ვიტამინის საკმარისი რაოდენობა, ორ სხვა ასაკობრივ ჯგუფში (5-15 წწ), სისხლში D3 ვიტამინის შემცველობა მიღებული კონსენსუსის თანახმად, არასაკმარისი იყო. ჩვენს მიერ შესწავლილი ჯანმრთელი მოზარდების 14% სისხლში 25)OH(D) ჰქონდა <20ნგ/მლ - D3 ვიტამინის დეფიციტი. კვლევაში ჩართული (რესპირაციული ინფექციებით) ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ასაკობრივი მონაცემების ასოციაცია D ვიტამინის დონესთან სისხლში Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P>0.05$  (იხ.: დიაგრამა 3), ხოლო საკონტროლო I, II და III ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას, D ვიტამინის დონის ბავშვების ასაკთან კორელაცია I და III ასაკობრივ ჯგუფებს შორის იყო სტატისტიკურად სარწმუნო - ( $p<0.05$ ), II და III ასაკობრივ ჯგუფებს შორის D ვიტამინის დონესთან შედარებისას Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P>0.05$ .

დიაგრამა 4.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

#### 4.2. სისხლში D ვიტამინის დონის გავლენა საზოგადოებაში შექმნილი პნევმონიის სიმძიმეზე ბავშვებში

ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი იყო საზოგადოებაში შექმნილი პნევმონიის დროს შეგვესწავლა ბავშვების სისხლში D ვიტამინის შემცველობა და სისხლში მისი დონის გავლენა პნევმონიის მიმდინარეობის სიმძიმეზე. პნევმონიის სიმძიმის შეფასებისთვის სხვადასხვა კლინიკურ მარკერებთან ერთად შესწავლილ იქნა ციტოკინური პროფილი - IL 6, IL 10 და მათი თანაფარდობა - IL6/IL10.

ამ მიზნით ჩატარდა პროსპექტული მიმოხილვითი კვლევა. შერჩეულ იქნა 17 წლამდე ასაკის 97 პაციენტი, რომლებიც მკურნალობდნენ თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ აკადემიურ კლინიკაში (48 პაციენტი) და ქ. რუსთავში შპს კლინიკა “რუსთავი” (49 პაციენტი) საზოგადოებაში შექმნილი პნევმონიის დიაგნოზით 2019-2021 წლებში კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები – დადასტურებული საზოგადოებაში შექმნილი პნევმონია (ჯანმოს კლასიფიკაციის მიხედვით), უარყოფითი მწვავე SARS-2-COV - ინფექცია, მშობლების ინფორმირებული თანხმობა კვლევაში ჩართვის შესახებ. ინფორმაცია დაავადების ანამნეზის, პაციენტის კლინიკური სტატუსის, ლაბორატორული და ინსტრუმენტული კვლევების შედეგების შესახებ მოპოვებულ იქნა პაციენტის სტაციონარული სამედიცინო ბარათიდან მკურნალ ექიმთან შეთანხმებით. შეფასებულ იყო პაციენტების მასა, სიგრძე, ვიტალური მაჩვენებლები, ჟანგბადით სატურაციის პროცენტი, ფიზიკალური გასინჯვის მონაცემები.

პაციენტების დახასიათება კლინიკური პარამეტრების მიხედვით - 97 პაციენტიდან 36-ს (37,1%) ჰქონდა D3 ვიტამინის ნორმატიული მაჩვენებელი  $>75$  ნმოლ/ლ- $>30$ ნგ/მლ (საკონტროლო ჯგუფი), 43 პაციენტს (44.3%) – არასაკმარისი - 50-70 ნმოლ/ლ - 20-30ნგ/მლ, ხოლო 18 პაციენტს (18,6%), აღენიშნებოდა D3 ვიტამინის დეფიციტი -  $<50$  ნმოლ/ლ -  $<20$ ნგ/მლ. მიღებული შედეგების მიხედვით, პაციენტებს შორის D3 ვიტამინის ნორმატიული მაჩვენებელი იყო საშუალოდ  $34.7 \pm 16.4$ ნგ/მლ, D3 ვიტამინის უკმარისობის დროს საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა  $28.09 \pm 4,2$  ნგ/მლ, დეფიციტის დროს საშუალო მაჩვენებელი იყო –  $14.4 \pm 8.1$  ნგ/მლ. D ვიტამინის სტატუსსა და პაციენტების ასაკსა და სქესს შორის სარწმუნო კორელაცია არ გამოვლინდა ( $p>0.05$ ), თუმცა ასაკის მატებასთან ერთად შეიმჩნეოდა სისხლში D ვიტამინის კონცენტრაციის შემცირება. სისხლში D3 –



ვიტამინის კონცენტრაციასა და დაავადების კლინიკურ პარამეტრებთან ურთიერთკავშირი მოცემულია ცხრილში 1. D ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტების 67%-ს (12 პაციენტი) კლინიკაში შემოსვლისას აღენიშნებოდათ ტაქიპნოე, რდს და პირველი დღეების განმავლობაში დასჭირდათ I დონის ინტენსიური მეთვალყურეობა, რაც სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალი იყო ( $p < 0.05$ ) საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. შესაბამისად, დაავადების ხანგრძლივობა მეტი იყო საკონტროლო ჯგუფთან შედარებით და საჭირო გახდა ალტერნატიული მკურნალობა ( $p < 0.001$ ). ამ ჯგუფის 2 პაციენტს, რომლებიც მკურნალობდნენ თსსუ გ. ჟვანიას სახელობის კლინიკაში, ჰქონდათ თანდართული პლევრიტი. მათგან ერთი პაციენტი საექვო ტუბერკულოზურ ინფექციაზე, გადაყვანილ იქნა სპეციალიზირებულ კლინიკაში, სადაც მოგვიანებით დაუდასტურდა ფილტვის ტუბერკულოზი. D ვიტამინის დეფიციტით მიმდინარე პნევმონიის შემთხვევებში პაციენტების 90%-ს მკურნალობის ეფექტურობა გამოუვლინდათ 48 სთ-ით გვიან საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (გაგრძელდა ცხელება, ცვლილებები პერიფერიული სისხლის მხრივ). D ვიტამინის დეფიციტის შემთხვევებში უფრო ხანგრძლივი იყო ტემპერატურული რეაქციაც, თუმცა D ვიტამინის სტატუსთან ცხელების ინტენსივობის მხრივ ( $>38$  გრადუსზე) სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია არ დადასტურდა ( $p > 0.05$ ). ანთებითი მარკერების მხრივ – მაღალი ლეიკოციტოზი ნეიტროფილოზით სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო ხშირი იყო D ვიტამინის დეფიციტის შემთხვევებში ( $p < 0.05$ ), მაგრამ CRP-ის მაღალი მაჩვენებლის მხრივ სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია არ დადასტურდა ( $p > 0.05$ ). საკონტროლო ჯგუფთან შედარებულ იქნა D ვიტამინის უკმარისობით მიმდინარე პნევმონიის შემთხვევები. ამ შემთხვევებში სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებები პნევმონიის მიმდინარეობის სიმძიმის მხრივ არ გამოვლინდა.

ცხრილი N1 აჩვენებს გამოკვლეული პაციენტების საერთო რაოდენობას – 97, აქედან საკონტროლო ჯგუფი - 36 პაციენტი, D ვიტამინის უკმარისობა – 43 პაციენტი და დეფიციტი – 18 პაციენტი.


**ცხრილი N1. პაციენტების დახასიათება სისხლში D3 ვიტამინის  
კონცენტრაციის მიხედვით**

#	პარამეტრები	დეფიციტი	ნაკლებობა	ნორმა	სულ
		<30 ნმოლ/ლ	30-50 ნმოლ/ლ	>50 ნმოლ/ლ	
1.	ასაკი: <5 წელი	2.8%	20.1%	22.5%	45.4%
	>5 წელი	16.2%	24.4%	14.0%	54.6%
2.	სქესი: მამრობითი	17.1%	17.1%	6.8%	61%
	მდედრობით	9.8%	12.2%	17%	39%
3.	პნევმონიის განმეორების ეპიზოდი	22%	12.2%	4.9%	40%
4.	ცხელება >38C	17%	19.5%	41.5%	
5.	ტაქიპნოე	24.4%	14.6%	19.5%	
6.	ტაქიკარდია	24.4%	12.2%	17.1%	
7.	ფილტვის ქსოვილის კონსოლიდაცია	6.4%	37%	37.1%	სულ: 100%
	კეროვანი	4.9%	7.3%	-	
	პოლისეგმენტური	7.3%	-	-	
8.	პლევროპნევმონია რდს, ინტენსიური მოვლა	9.8%	2.4%	-	
9.	საწოლ/დღეები <5	0%	14.6%	31.7%	
	>7	90%	9.8%	12.2%	
10.	ალტერნატიული მკურნალობა	14.6%	-	-	
11.	მაღალი ლეიკოციტოზი	19.5%	7.3%	9.8%	
12.	მაღალი ცრპ სისხლში >120	9.8%	2.4%	12.2%	

*წყარო: შედგენილია ავტორის მიერ*

ასოციაცია D ვიტამინსა და ტაქიპნოეს შორის პირსონის Chi-Square ტესტის მიხედვით აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო  $P>0.05$ . ასოციაცია D ვიტამინსა და ცხელებას შორის, Chi-Square ტესტის მიხედვით, არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P<0.05$ . ასოციაცია D ვიტამინსა და რდს-ს შორის, Chi-Square ტესტის მიხედვით, იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P>0.05$ .


დიაგრამა 5.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


ჩვენი მასალის მიხედვით, ასოციაცია D ვიტამინსა და პნევმონიის ეპიზოდების რაოდენობას შორის Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არის სტატისტიკურად ძლიერ სარწმუნო  $P<0.05$

დიაგრამა 6.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


დიაგრამა 7.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ასოციაცია D ვიტამინსა და საწოლდღეების რაოდენობას შორის Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არის სტატისტიკურად მაქსიმალურად სარწმუნო  $P < 0.001$ .


დიაგრამა 8.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ასოციაცია D ვიტამინსა და ტაქიკარდიას შორის, Chi-Square ტესტის მიხედვით, იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P>0.05$ . ალტერნატიული მკურნალობის შემთხვევები დაკავშირებული იყო მხოლოდ D ვიტამინის მძიმე დეფიციტთან. ასოციაცია D ვიტამინსა და მაღალ ლეიკოციტოზს შორის, Chi-Square ტესტის მიხედვით, იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P<0.05$ .


დიაგრამა 9.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დადებითი კორელაცია D ვიტამინსა და CRP-ს სიდიდეს შორის, Chi-Square ტესტის მიხედვით, არ გამოვლინდა  $P>0.05$ . ასოციაცია D ვიტამინსა და კონსოლიდაციის ხარისხს შორის, Chi-Square ტესტის მიხედვით, იყო სტატისტიკურად ძლიერ სარწმუნო  $P<0.01$ .

დიაგრამა 10.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

#### 4.3. სისხლში D ვიტამინის დონის გავლენა ციტოკინურ პროფილზე

##### პნევმონიის დროს

როგორც ცნობილია, სხვადასხვა კვლევებში პნევმონიის სიმძიმის პროგნოზულ მარკერად სხვადასხვა ციტოკინი განიხილება. ისინი, ასევე, წარმოადგენენ გართულებული პნევმონიის დროს ადრეული სიკვდილის პრედიქტორებს. ციტოკინური პროფილი შესწავლილ იქნა თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში პნევმონიით ჰოსპიტალიზებულ 41 პაციენტის სისხლში. კლინიკაში ჰოსპიტალიზაციისას პაციენტების სისხლში D ვიტამინის ერთჯერად განსაზღვრასთან ერთად ხდებოდა IL-6 და IL-10 განსაზღვრა 2-ჯერ - შემოსვლის პირველ 24 სთ-ში და ჰოსპიტალიზაციის მე-5 დღეს. შემოსული პაციენტები სისხლში D ვიტამინის დონის მიხედვით გადანაწილდა 3 ჯგუფად: I ჯგუფი - 11 შემთხვევა D ვიტამინის დეფიციტით, II ჯგუფი - 12 შემთხვევა - D ვიტამინის უკმარისობით და III ჯგუფი - 18 შემთხვევა სისხლში D ვიტამინის საკმარისი შემცველობით. (შედეგები იხ.: ცხრილში N2)

ცხრილი N2. პნევმონიით ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა სისხლში ციტოკინური პროფილი D3 ვიტამინის შემცველობის მიხედვით

	ციტოკინები (პგ/მლ)	<20ნგ/მლ	20-30 ნგ/მლ	>30ნგ/მლ
1.	IL 6 24 სთ მე-5-7/საწოლ/დღე	36.45±9,935 18.9±4,090	12.02±10,9 5.1±5,26	12.95±6,087 5.06±1,55
2.	IL 10 24 სთ მე-5-7/საწოლ/დღე	5.6±2,217 6.3±1,438	2.78±1,55 4.03± 1,40	7.93±5,98 7.1±5,19
3.	L6/IL10 – ინდექსი 24 სთ მე-5-7/საწოლ/დღე	7.5±3,893 3.17±1,014	5.0±3,78 1.48±1,29	2.65±1,84 1.07±0.69


წყარო: შედგენილია ავტორის მიერ



ჰოსპიტალიზაციის პირველ დღეს, როგორც ცხრილიდან ჩანს, IL-6 და IL-10 კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში სტაციონარში მოთავსებისას სარწმუნოდ მაღალი იყო ყველა ჯგუფში ჯანმრთელი ნორმის მაჩვენებლებთან შედარებით (იხ.: ცხრილი #2.). ასევე, სარწმუნოდ მაღალი იყო IL-6 დონე D ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებში Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით (დიაგრამა 1;  $p < 0.001$ ). ინტერლეიკინ-10 კი შემოსვლისას სარწმუნოდ მაღალი იყო პაციენტებში, რომელთაც არ აღენიშნებოდათ D ვიტამინის დეფიციტი ( $p < 0.05$ ).


ჩვენ ასევე შევისწავლეთ ციტოკინების რაოდენობა ჰოსპიტალიზაციიდან მე-5-7 დღეზე. ყველა საკვლევ ჯგუფში შეიმჩნეოდა IL-6 შემცირების და თითქმის ნორმალიზების ტენდენცია, თუმცა ვიტამინ D დეფიციტის შემთხვევებში ინტერლეიკინ-6 რჩებოდა სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალი სხვა ჯგუფებთან შედარებით. (იხ.: დიაგრამა 10-11)

**დიაგრამა 10.** ჰოსპიტალიზაციის პირველ დღეს IL-6-ის მაჩვენებლების (საშუალო) ცვლილება ვიტამინ D-ის სტატუსის მიხედვით (1 - დეფიციტური -  $< 20$ ნგ/მლ; 2- ვიტამინი D-ს უკმარისობა 20-30ნგ/მლ; 3 - საკმარისი რაოდენობის  $\geq 30$ ნგ/მლ)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დიაგრამა 11. ჰოსპიტალიზაციის მეხუთე დღეს IL-6-ის მაჩვენებლების (საშუალო) ცვლილება ვიტამინ D-ის სტატუსის მიხედვით (1 - დეფიციტური - <20ნგ/მლ; 2- ვიტამინი D-ს უკმარისობა - 20-30ნგ/მლ; 3 - საკმარისი რაოდენობა >=30ნგ/მლ)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


IL-10 რაოდენობის მატების ტენდენცია გამოვლინდა ჰოსპიტალიზაციის მე-5 დღეს პაციენტებში D ვიტამინის დეფიციტით და უკმარისობით, განსაკუთრებით, რომელთაც აღენიშნებოდათ რესპირატორული დისტრეს სინდრომი და დასჭირდათ I დონის ინტენსიური მეთვალყურეობა ( $p=0.02$ ). IL-10 მაღალი დარჩა პაციენტებში D ვიტამინის ნორმატიული მაჩვენებლით. ჰოსპიტალიზაციის პირველ დღეს IL6/IL10 ratio - სარწმუნოდ მაღალი იყო D ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებში ნორმატიული მაჩვენებლების მქონე პაციენტებთან შედარებით ( $p<0.001$ ). ჰოსპიტალიზაციის მე-5 დღეს IL6/IL10 ratio მაღალი დარჩა მხოლოდ D ვიტამინის დეფიციტის შემთხვევებში. გამოვლენილ იქნა აგრეთვე ძალიან მაღალი და ძლიერი უკუპროპორციული კავშირი IL-6-ს და ვიტამინ D-ს კონცენტრაციებს შორის ( $-0,643, p=0,001$ ).

ჩვენი მასალის მიხედვით, ერთმანეთს შევადარეთ იმ ბავშვების ციტოკინური პროფილი, რომელთაც სისხლში აღენიშნებოდათ D ვიტამინის უკმარისობა (25(OH)D-ს კონცენტრაცია 20–30 ნგ/მლ) და ნორმატიული მაჩვენებელი (25(OH)D-ს კონცენტრაცია >30 ნგ/მლ). სისხლში IL 10-ის კონცენტრაცია სარწმუნოდ მაღალი იყო, როგორც პირველ, ისე მე-5 დღეს იმ პაციენტებში, რომელთაც D ვიტამინის საკმარისი რაოდენობა ჰქონდათ ( $p<0.05$ ).

სხვა პარამეტრების მხრივ სარწმუნო ცვლილებები ამ ორ ჯგუფს შორის არ გამოვლინდა.

ასოციაცია პირველ დღეს IL 6 და D ვიტამინს შორის Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არის სტატისტიკურად მაქსიმალურად სარწმუნო  $P < 0.001$ .


დიაგრამა 12.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ასოციაცია პირველ დღეს IL 10 და D ვიტამინის დონეს შორის Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არის სტატისტიკურად სარწმუნო  $P < 0.05$


დიაგრამა 13.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ასოციაცია მეხუთე დღეს IL 6 და D ვიტამინს შორის Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არის სტატისტიკურად მაქსიმალურად სარწმუნო  $P < 0.001$ .


დიაგრამა 14.



წყარო: შედეგნილია ავტორის მიერ

ასოციაცია მეხუთე დღეს IL 10 და D ვიტამინს შორის Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით სტატისტიკურად ძლიერ სარწმუნოა  $P < 0.01$ .


დიაგრამა 15.



წყარო: შედეგნილია ავტორის მიერ

შეფარდება IL6/IL10 მონაცემი სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალი იყო პნევმონიით ჰოსპიტალიზაციის I დღეს D ვიტამინის მიმე დეფიციტის დროს  $p < 0.001$  D ვიტამინის ნორმატიულ შემთხვევებთან შედარებით.


დიაგრამა 16.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ჰოსპიტალიზაციის მე-5 დღისათვის IL6/IL10 ratio მაჩვენებელი Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალი დარჩა D ვიტამინის დეფიციტით მიმდინარე პნევმონიების შემთხვევებში  $P < 0.01$ .

დიაგრამა 17.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

#### 4.4. მოსახლეობის ცნობადობის ხარისხი D ვიტამინის დეფიციტის

##### მნიშვნელობის შესახებ

მოსახლეობაში D ვიტამინის დეფიციტის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის შესწავლის მიზნით გამოკითხულ იქნა 850 რესპოდენტი კვლევაში ჩართული ბავშვის მშობელთა ჩათვლით. სპეციალური ანკეტა/კითხვარი შემუშავებულ იქნა ჩვენს მიერ (კითხვარი მოცემულია დანართის სახით). მიღებული შედეგების მიხედვით გამოკითხულთა 88,3% აღნიშნავს, რომ იცის, D ვიტამინი მნიშვნელოვანია ბავშვისათვის და თანახმაა დააღვეინოს პროფილაქტიკური დოზა, თუმცა არ იცის რა გავლენა აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და რა მნიშვნელობა აქვს D ვიტამინის დეფიციტის პრევენციას. შეკითხვაზე, რომელი საკვებია შედარებით მდიდარი D ვიტამინით, 74% უპასუხა - თევზი და კვერცი, 46% აღნიშნა რძის პროდუქტები, 21,6% პასუხი არ აქვს. გამოკითხულთა 59% აძლევდა შვილს D ვიტამინის პროფილაქტიკურ დოზას 1 წლამდე, 40% მისცა მხოლოდ 1-2 თვე, ვინაიდან არ ჰქონდა ინფორმაცია რა ხანგრძლივობით იყო საჭირო D ვიტამინის მიცემა. შეკითხვაზე, მოზარდ გოგონებში (როგორც მომავალ დედეებში) რამდენად მნიშვნელოვანია D ჰიპოვიტამინოზის პრევენცია, გამოკითხულთა 85,3% განაცხადა, რომ არ აქვთ ინფორმაცია. კითხვარში არსებულ შეკითხვაზე, ოჯახის ექიმების ან ზოგადი პედიატრების მიერ აქვთ თუ არა მიღებული ინფორმაცია, რამდენად მნიშვნელოვანია D ვიტამინის ადეკვატური დონე ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, მხოლოდ 9% უპასუხა დადებითად. რესპოდენტების 89% თვლის, რომ სჭირდებათ მეტი ინფორმაცია D ვიტამინის დეფიციტის მავნე გავლენის შესახებ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.



## თავი 5. კვლევის შედეგების ანალიზი

### კვლევის შედეგების განხილვა

ბოლო წლების პუბლიკაციების მიმოხილვების თანახმად, D ვიტამინის დეფიციტი ასოცირდება რესპირაციული ინფექციების მიმართ მიმღებლობის გაზრდასთან. რესპირაციული ინფექციებით ავადობის სიხშირეზე სისხლში D3 ვიტამინის დონის გავლენის შესწავლის მიზნით გამოკვლეულ იქნა 3 თვიდან 15 წლამდე ასაკის 277 ბავშვი, აქედან 147 - ხშირი რესპირაციული ინფექციებით და რაქიტის ნიშნებით და 130 - ბავშვი პრაქტიკულად ჯანმრთელი, ანამნეზში რესპირაციული ინფექციების ერთეული ეპიზოდებით. სამწუხაროდ, არ არსებობს შეთანხმებული რეკომენდაცია რესპირაციული ინფექციების რეკურენტობის განმარტების შესახებ. ჯანმოს რეკომენდაციით, ბავშვის 5 წლის ასაკამდე წლიურად 4-8 ეპიზოდამდე ზემო სასუნთქი გზების ინფექცია გართულების გარეშე, არ ითვლება ხშირ ავადობად. რეკურენტულ პნევმონიად მოიაზრება წელიწადში პნევმონიის >2 ეპიზოდი, ან 3 და მეტი ეპიზოდი ანამნეზში, როდესაც ეპიზოდებს შორის რადიოლოგიურად ხდება კონსოლიდაციის ალაგება. Schaad UB. და თანაავტორების მიხედვით (BMJ 2017), რეკურენტული რესპირაციული ინფექცია შეიძლება მოიაზრებოდეს, თუ წლის განმავლობაში დიაგნოსტირდება  $\geq 6$  რესპირაციული ინფექცია,  $\geq 1$  ზემო სასუნთქი გზების რესპირაციული ინფექცია თვეში სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით,  $\geq 3$  რესპირაციული ინფექცია ქვემო სასუნთქი გზების ჩათვლით წლის განმავლობაში. ჩვენი მასალა შერჩეულ იქნა აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით.

კვლევაში ჩართული იყო პაციენტები: ანამნეზში წელიწადში 6-8 ეპიზოდი ზემო სასუნთქი გზების ინფექციით, პნევმონიის 2-3 ეპიზოდი, ბრონქიოლიტი  $\geq 3$  ეპიზოდი წლიურად, მწვავე ბრონქიტის  $\geq 3$  ეპიზოდი წლიურად. კვლევაში ასევე შეყვანილ იყვნენ ბავშვები გამოხატული რაქიტის ნიშნებით ან უკვე დადგენილი D ჰიპოვიტამინოზით, რომელთაც ასევე ანამნეზში აღნიშნებოდათ რესპირაციული ინფექციებით ხშირი ავადობა.

მათ სისხლში ერთჯერადად გამოკვლეულ იქნა 25(OH)D კონცენტრაცია. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე

გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო დადებითი კორელაცია D ვიტამინის დაბალ დონესა და რესპირაციული ინფექციებით ხშირ ავადობას შორის სამივე ასაკობრივ ჯგუფში. აღნიშნულ საკითხზე ლიტერატურის მონაცემები ურთიერთ საწინააღმდეგოა. რიგი შრომების მიხედვით (107,116,133), სისხლში D3 ვიტამინის დონე გავლენას არ ახდენს ინფექციური პროცესის მიმდინარეობასა და სიმძიმეზე და ავტორთა აზრით, ჩატარებული კვლევების რაოდენობა და სტატისტიკური შედეგები არასარწმუნოა, მეორეს მხრივ, სისხლში D3 ვიტამინის დაბალი დონე უკავშირდება მაღალ ავადობას და შესაბამისად, ამ ვიტამინის საკმარისი დონით შენარჩუნება ხელს უწყობს ვირუსული და ბაქტერიული გენეზის ინფექციებით ავადობის შემცირებას (76,100,192,200,210). Kearns MD et al. (2015), Jat KR. (2017), Martineu et al (128,129,130), და სხვა. მიერ ჩატარებული რანდომიზირებული კლინიკური კვლევების მეტაანალიზის მიხედვით, D ვიტამინის დეფიციტის (<30ნგ/მლ) დროს სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო მაღალი იყო ზემო სასუნთქი გზების და ქვემო სასუნთქი გზების ინფექციებით ავადობა, ვიდრე D3 ვიტამინის საკმარისი რაოდენობის შემთხვევებში. ასეთივე მონაცემები ქვეყნდება სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კლინიკური კვლევების ანალიზის საფუძველზე (30,131, 153, 206,210). ჩვენი მონაცემების მიხედვითაც, D ჰიპოვიტამინოზი ერთ-ერთი რისკ ფაქტორია რესპირაციული ინფექციებით ხშირი ავადობის შემთხვევებში.

ჩატარებული კვლევის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე D ვიტამინის დეფიციტი არ იყო კორელაციაში ბავშვების სქესთან.

ასევე, ჩვენს მიერ შედარებულ იქნა ჯგუფები ბავშვების სისხლში D ვიტამინის შემცველობის მიხედვით ასაკობრივ ასპექტში. ჩვენს კვლევაში ჩართული ბავშვების ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას გამოვლინდა, რომ 2011 წლის საერთაშორისო გაიდლაინის მიხედვით, რომელიც თანამედროვე პირობებშიც მოქმედია მრავალ ქვეყანაში (17,23,24,69,118, 156,172), მხოლოდ 5 წლამდე ასაკის ჯანმრთელ ბავშვებს ჰქონდათ სისხლში D3 ვიტამინის საკმარისი რაოდენობა, ორ სხვა ასაკობრივ ჯგუფში (5-15 წწ), სისხლში D3 ვიტამინის შემცველობა მიღებული კონსენსუსის თანახმად, არასაკმარისი იყო. ჩვენს მიერ შესწავლილი ჯანმრთელი მოზარდების 14% სისხლში 25(OH)D ჰქონდა <20ნგ/მლ - D3 ვიტამინის დეფიციტი. კვლევაში ჩართული (რესპირაციული ინფექციებით)

ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ასაკობრივი მონაცემების ასოციაცია D ვიტამინის დონესთან სისხლში Kruskal-Wallis არაპარამეტრული ტესტის მიხედვით არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P > 0.05$ , ხოლო საკონტროლო I, II და III ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას, D ვიტამინის დონის ბავშვების ასაკთან კორელაცია I და III ასაკობრივ ჯგუფებს შორის იყო სტატისტიკურად სარწმუნო - ( $p < 0.05$ ), II და III ასაკობრივ ჯგუფებს შორის D ვიტამინის დონის ასაკთან კორელაცია არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო  $P > 0.05$ . მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენი მონაცემებით, გამოკვლეული მოზარდების 14% ჰქონდა D ჰიპოვიტამინოზი, რაც ყურადღებას საჭიროებს. ასეთივე მონაცემები ქვეყნდება სხვა ქვეყნების - იტალია, პოლონეთი, ეგვიპტე, რუსეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატების და სხვა. მკვლევარების მიერ (Vierucci F, et al., 2014; Aglipay M. Et al., 2017; Saggese G. Et al. 2015; Sacheck JM, et al. 2017; Soliman AT, 2014; Chlebna-Sokół D., et al., 2019; Kondratyeva E.I, 2020, და სხვა.). მოზარდთა ჯანმრთელობისა და მედიცინის საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, (A Position Statement of the Society for Adolescent Health and Medicine. Journal of Adolescent Health 52. 2013), მოზარდებს შორის D ჰიპოვიტამინოზი მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა. Cashman KD, et al., (2016) მონაცემების მიხედვით, D ჰიპოვიტამინოზის გავრცელებამ ევროპულ პოპულაციაში ასაკის მიხედვით: 1-6 წ, 7-14 წწ, 15-18წ შეადგინა შესაბამისად - 4-7%, 1-8% და 12-40%, რის საფუძველზეც აღინიშნა, რომ ყურადღება D ჰიპოვიტამინოზის პრევენციასა და მკურნალობას უნდა მიექცეს არა მხოლოდ ჩვილობის, არამედ მოზარდობის ასაკშიც. ასაკის მიხედვით ჩვენი შედეგები ეთანხმება ავტორთა ჯგუფების მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ მონაცემებს ევროპის, ამერიკისა და რუსეთის პოპულაციებში ჰიპოვიტამინოზის გავრცელების შედარებით მაღალი სიხშირის შესახებ მოზარდ პოპულაციაში სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. მოცემული შედეგები სავარაუდოდ განპირობებულია რეკომენდირებული პროფილაქტიკური მკურნალობით 2 წლამდე ასაკის ბავშვებში, რაც სამწუხაროდ არ ვრცელდება შემდგომი ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ამგვარად, ჩვენი მონაცემების მიხედვითაც, D ჰიპოვიტამინოზი აქტუალური პრობლემაა მოზარდობის ასაკში ქართულ პოპულაციაშიც და საჭიროებს შესაბამის ყურადღებას ჯანდაცვის მესვეურების მხრივ.

